ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება

ნინო ჯიბლაძე

გენდერული ასპექტები სპორტულ მედიაში

ნაშრომი შესრულებულია ჟურნალისტიკის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მაია ტორაძე

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2023

ანოტაცია

ნაშრომი მიზნად ისახავს, გამოიკვლიოს გენდერული ასპექტები სპორტულ მედიაში. კერძოდ კი, თუ ვხვდებით გარკვეულ გენდერულ უთანასწორობას, ძირითადად რა შეცდომები სჭარბობს და რა ფორმით მუშაობს ქართული ონლაინმედია სპორტის მიმართულებით. კვლევის მიზანია, გენდერული სტერეოტიპების დადგენა ახალი ამბების გაშუქების პროცესში, ასევე ფემინური და მასკულინური სპორტის სახეობების იდენტიფიცირება. ქალი სპორტსმენების მიმართ დამოკიდებულებებისა და აღქმების დადგენა, თუ რამდენად დაბალანსებულად აშუქებს ონლაინ მედია სპორტულ ამბებს, სტატიების უმეტესობა სპორტში მამაკაცების წარმატებას ეხება თუ დაბალანსებულად არის წარმოჩენილი, როგორც ქალების ჩართულობა და წარმატება სხვადასხვა სპორტულ სახეობებში, ისე კაცების. სწორედ ეს არის ჩემი ნაშრომის ძირითადი მიზანი, რომ მოვახდინოთ გენდერული სტერეოტიპების მსხვრევა სპორტის ირგვლივ.

საკვლევად შევარჩიეთ 3 ონლაინ მედია: „europop.ge", „sportall.ge", და „crystalsport.ge" რადგან დღესდღეობით, ქართულ სპორტულ ონლაინგამოცემებში სწორედ ეს მედიაგამოცემები გამოირჩევიან აქტიურობით და ყველა სპორტულ სახეობებში ყოველდღიურად განახლებულ და საინტერესო ინფორმაციას აწვდიან საზოგადოებას. რაც შეეხება საკვლევ პერიოდს, ეს არის 2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023წ 1 მაისამდე.

კვლევამ გვაჩვენა, რომ ქართული სპორტული ონლაინ მედიები ძალიან აქტიურად მუშაობენ, საზოგადოების დიდი ინტერესიდან გამომდინარე, თუმცა ამასთან შედარებით, ბევრად უფრო ნაკლები ინფორმაცია იდება ქალების შესახებ. რაოდენობრივად, ძალიან დიდი განსხვავებას ვხვდებით გამოქვეყნებულ სტატიებზე, რაც გენდერულ დისბალნს უსვამს ხაზს.

სარჩევი

შესავალი 4

ლიტერატურის მიმოხილვა..... 5

კვლევის მეთოდოლოგია 12

კვლევის დიზაინი.....13

I თავი: კვლევის შედეგები 14

1.1.რაოდენობრივი კონტენტ-ანალიზი.....14

1.1.1."europop.ge" 14

1.1.2. "Sportall.ge" 16

1.1. 3. "crystalsport.ge".....19

1.2 თვისებრივი კონტენტ-ანალიზი.....22

1.2.1 "europop.ge" 25

1.2.2 sportall.ge.....29

1.2.3 crystalsport.ge 31

1.2.4 შედარებითი ანალიზი.....34

1.3 სიღრმისეული ინტერვიუ 36

დასკვნა.....40

გამოყენებული ლიტერატურა 42

შესავალი

გენდერული სტერეოტიპები ყოველთვის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემა არის საზოგადოებაში. ხშირად ხდება ქალისა და კაცის მახასიათებლისა და როლების ხაზგასმა, შესაბამისად ეს სტერეოტიპები ადამიანის ცნობიერებასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში ღრმად არის გამჯდარი. რთულია, ამ ყველაფრის წინააღმდეგ წასვლა, სტერეოტიპების დანგრევა და ადამიანების ცნობიერების შეცვლა.

გენდერული სტერეოტიპების გაანალიზება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ადამიანები უამრავ დაბრკოლებებს აწყდებიან ამის გამო და ხშირად ხდებიან ბულინგის მსხვერპლი. ამ თემასთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა გავრცელებული გამოთქმა, რომლითაც ხაზს უსვამენ ქალისა და კაცის როლს, მაგალითად: „სპორტი რა ქალების საქმეა“, „კაცებს მეტი ფიზიკური ძალა აქვთ“, „ქალის საქმე მხოლოდ ოჯახია და არა სპორტი“... ამ ფრაზებს ჩვენ ყოველდღიურად ვისმენთ, ამიტომ საზოგადოებას ქალისა და კაცის როლები სხვანაირად ვეღარც წარმოუდგენია.

ბოლო წლებში სპორტმა აჩვენა თავისი უზარმაზარი შესაძლებლობები, რათა ხელი შეუწყოს ქალების გაძლიერებას. ის აერთიანებს ეროვნულ ბარიერებსა და კულტურულ განსხვავებებს, არის ძლიერი ინსტრუმენტი პოზიტიურ სიტუაციასა და გარემოში მნიშვნელოვანი გზავნილების გადასაცემად მასობრივი აუდიტორიისთვის. გარდა ამისა, სპორტი ასწავლის ქალებსა და გოგონებს გუნდური მუშაობის, თვითდაჯერებულობისა და გამძლეობის ღირებულებებს, აქვს დადებითი ეფექტი მათ ჯანმრთელობაზე, განათლებასა და ლიდერული შესაძლებლობების განვითარებაზე, შესაბამისად ხელს უწყობს თვითშეფასების ამაღლებას, ამყარებს სოციალურ კავშირებს და გამოწვევების წინაშე აყენებს საზიანო გენდერულ ნორმებს. მნიშვნელოვანია, რომ სპორტულ მედიაში გენდერული საკითხები სრულად იყოს გათვალისწინებული, მოხდეს გენდერული თანასწორობის დაცვის სტრატეგიებისა და პოლიტიკის შექმნა, რადგან აუცილებელია, რომ ქალთა მონაწილეობა გაიზარდოს ყველა სპორტულ სახეობებში, რესურსები სწორად გადანაწილდეს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მედიამ მეტი ყურადღება დაუთმოს

ქალების მიღწევებისა და წარმატებების გაშუქებას, იყოს გენდერული მიკერძოებისგან თავისუფალი.

ლიტერატურის მიმოხილვა

ქალების მონაწილეობას სპორტში დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგალითად 1900 წელს, პარიზის ოლიმპიურ თამაშებზე პირველად ქალებმაც იასპარეზეს, ასევე ფეხბურთში პირველი არაოფიციალური ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი 1970 წელს, იტალიაში ჩატარდა. რამდენიმე ქვეყანამ აკრძალვები გააუქმა ქალების ფეხბურთში მონაწილეობაზე, რამაც ახალი გუნდების შექმნას შეუწყო ხელი ბევრ ქვეყანაში, შესაბამისად გაჩნდა დიდი დაინტერესება და მათ სურდათ მეტი ძალისხმევა გამოეჩინათ ქალების სპორტში მონაწილეობის პოპულარიზაციისთვის. დიდიხნის განმავლობაში ქალები აღიქმებოდნენ, როგორც სუსტი სქესის წარმომადგენლები, ამიტომ ისინი სპორტში ჩართულობით არ გამოირჩეოდნენ და მუდმივად უწევდათ თავიანთი შესაძლებლობების დამტკიცება. საზოგადოება სპორტს ორ ნაწილად ყოფდა, ქალის სპორტი და კაცის სპორტი. ქალის წარმოდგენა ყოველთვის უჭირდათ ისეთ აქტივობებში, რომელიც კარგ ფიზიკურ მომზადებას საჭიროებდა, განსაკუთრებით სპორტის ისეთ სახეობებში, როგორიცაა: ძალოსნობა, მარათონი, ძიუდო რადგან მიიჩნეოდა, რომ ეს სახეობები განსაკუთრებულ გამძლეობაზე იყო დამოკიდებული, რაც მხოლოდ კაცებს გააჩნდათ. ქალისთვის უფრო შესაფერის სპორტად მიიჩნეოდა ცურვა, ტანვარჯიში, ჭადრაკი და სხვა. ამ პერიოდის განმავლობაში ხშირად ხვდებოდნენ დაყოფასა და დისკრიმინაციას, თუმცა პორტში ქალების წარმატებამ სრულიად შეცვალა შეხედულებები და, რაც ყველაზე მთავარია, დადებითად იმოქმედა ქალთა გაძლიერებაზე.

საბედნიეროდ, დამოკიდებულება დროთა განმავლობაში შეიცვალა და ქალები ნელ-ნელა საყვარელი სპორტული აქტივობებით დაკავდნენ. ამ პროცესს ხელს უწყობდნენ სხვადასხვა დაწესებულებები, წამყვანი ორგანიზაციები, რომლებიც ცდილობდნენ, რომ ქალები უფრო მეტად ჩართული ყოფილიყვნენ სპორტში. შესაბამისად, საზოგადოებამაც დაიწყო დამოკიდებულების შეცვლა და იმის გაანალიზება, რომ შეიძლება სპორტით დაკავდნენ ქალებიც. დროთა განმავლობაში ქალები სპორტში ძლიერ კონკურენციას უწევდნენ კაცებს და დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს, ასევე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საზოგადოებაში დაამსხვრიეს სხვადასხვა სტერეოტიპები. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებენ

ქართველი ქალი სპორტსმენები, რომლებმაც მსოფლიოს დაუმტკიცეს თავიანთი შესაძლებლობები. მაგალითად:

1. ნონა გაფრინდაშვილი - ქართველი მოჭადრაკე, რომლის შესაძლებლობებზე ყველა ლაპარაკობს და პირველი ქალი, ვისაც საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიენიჭა, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის. მან ბევრი იბრძოლა, რომ კაცთა ტურნირზეც ეთამაშა, რა თქმა უნდა, ეს შეძლო და ურთულეს ტურნირებში გამარჯვება მოიპვა.
2. ირმა ხეცურიანი - ქართველი ქალი პარამოფარიკავე, მსოფლიო თასის მრავალგზის გამარჯვებული და მსოფლიო ჩემპიონი. ირმა სპორტსმენი მაშინ გახდა, როდესაც ყველაზე მეტად უჭირდა, ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ ფარიკაობა მისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. ის ბევრ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ეს არის მისი განსაკუთრებული ამბავი, რომელმაც მისი ცხოვრება შეცვალა და დღეს მიაჩნია, რომ მის ცხოვრებაში შეუძლებელი არაფერია.
3. ლეილა მესხი - ერთ-ერთი უძლიერესი ქართველი ქალი ჩოგბურთელი. მას ჰქონდა არაჩვეულებრივი შედეგები და მსოფლიომ მისი ნიჭიერებით გაიცნო. დასაწყისიდანვე ეს მისთვის რთული და მძიმე გზა იყო, თავის გადადება მხოლოდ ერთი საქმისთვის, თუმცა აღნიშნავს, რომ ყველაფერი გათვალისწინებული ჰქონდა, მონდომებისა და ვარჯიშის გარეშე არაფერი იქნებოდა, გამარჯვება კი დიდი ბედნიერებას მოუტანდა.

ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია მედიის როლი სპორტული ამბების გაშუქების დროს. მედიას აქვს შესაძლებლობა და ძალა გამოეხმაუროს, გაასაჩივროს ის ნორმები, რომლებიც ხელს შეუწყობს სპორტული ამბების დაბალანსებულად და სამართლიანად გაშუქებას სქესის მიუხედავად. მედიის წარმომადგენლები ვალდებულები არიან სიფრთხილე გამოიჩინონ, რადგან მათ შეუძლიათ ხელი შეუწყონ სტერეოტიპების გავრცელებას, ან საზოგადოებაში ჯანსაღი აზრი ჩამოაყალიბონ. ახალი ამბების გაშუქებისას სპორტულ

მედიაში გენდერულ საკითხებს, როგორც ხარისხობრივად, ასევე რაოდენობრივად განსხვავებულად გამოხატავენ.

გენდერული თანასწორობა ჟურნალისტიკაში ძალიან მნიშვნელოვანი და საკამათო თემაა. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისთვის და სხვა სპორტული ორგანიზაციებისთვის ცოტა მოგვიანებით გახდა სტრატეგიული საზრუნავი. 2016 წლამდე ჯერ კიდევ არსებობდა ერთი ოლიმპიური თამაში, რომელიც მხოლოდ მამაკაცებისთვის იყო დაშვებული, რომელიც სათხილამურო სპორტს მოიცავდა.

2020 წელს კი ტარა გერატი-მოატსმა პირველმა მოიგო ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი. ამ შეჯიბრის შესახებ, თითქმის ყველა მედია წერდა[1], რომ ეს იყო ერთი პატარა ნაბიჯი ოლიმპიური გენდერული თანასწორობისკენ და ერთი გიგანტური ნახტომი გამარჯვებულისთვის, რომ მოიგო პირველი ქალთა სკანდინავიის მსოფლიო ჩემპიონატის ოქრო. ტარა გერატიც მედიასთან საუბრისას ხაზს გენდერულ თანასწორობას უსვამდა და მიიჩნევდა, რომ თითოეულ სპორტში ნელ-ნელა მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამენ ამ მხრივ, თუმცა ეს პრობლემა ძალიან დიდ გავლენას ახდენს თითქმის ყველა სპორტსმენ ქალზე, რომლებისაც შეუძლიათ ასპარეზობა მაღალ დონეზე.

მიუხედავად ამ მოვლენებისა, სპორტში გენდერი კვლავ სადავო საკითხია, რადგან ქალი სპორტსმენების წარმატება ნაკლებადაა სპორტული მედიის გაშუქების საგანი. განსაკუთრებით საინტერესოა სპორტული ამბების გაშუქებაში გენდერული თანასწორობის მხრივ 2 საკითხი:

1. ქალი ჟურნალისტები სპორტული ამბების გაშუქების დროს ნაკლებად არიან წარმოდგენილები.

2. აუდიტორიის აღქმა ქალი ჟურნალისტების მიმართ, რაც არასანდოობას იწვევს.

ნეგატიურმა სტერეოტიპებმა და სოციალურმა ნორმებმა ქალების სწავლასა და საუკეთესო პრაქტიკის შესაძლებლობას ხელი შეუშალა. ამავდროულად, სხვადასხვა სპორტის

---

[1]Azzi A., In the only Olympic sport not open to women, Tara Geraghty-Moats perseveres, 2021 წელი, <https://onherturf.nbcsports.com/2021/02/26/tara-geraghty-moats-nordic-combined-olympics/> [12/04/2023]

სახეობებში კვლავ ხშირად ვხვდებით გენდერულ უთანასწორობას, რასაც ჩვენ უფრო ფართოდ ვხედავთ საზოგადოებაში და ასევე ისეთი საკითხებში, როგორებიცაა: არათანაბარი ანაზღაურება, ფსიქოლოგიური ძალადობა, ინვესტიციების ნაკლებობა და სხვა. გენდერული დისკრიმინაცია მჭიდროდ იყო დაკავშირებული სპორტში ქალების მონაწილეობასთან. შესაბამისად, გენდერული უთანასწორობა მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორი და აქტუალი თემა უნდა იყოს სპორტული მედიისთვის.

დროთა განმავლობაში, მედიის საქმიანობის მხრივ არც თუ ისე ბევრი რამ შეიცვალა ქალების ჩართულობისა და სპორტის პოპილარიზაციის მიზნით. სპორტი იყო უაღრესად გენდერული სოციალური სფერო, შესაბამისად დიდიხნის განმავლობაში ქალებს ეკრძალებოდათ ფიზიკური დატვირთვა ჯანმრთელობის მიზეზების და ქალის სხეულის „სისუსტის“ გამო მიიჩნევდნენ, რომ ეს მათზე უარყოფით ზეგავლენას მოახდენდა. ბოლო ათწლეულების განმავლობაში, მუდმივად ეს თემა უფრო სერიოზულ სახეს იღებდა და ქალებმა მნიშვნელოვან პროგრეს მიაღწიეს სპორტში, თუმცა სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ სპორტი კვლავ გენდერული ხასიათისაა. ადრე სპორტულ მედიაში ხშირად შეინიშნებოდა რასობრივი, ეთნიკური და მათ შორის გენდერული უთანასწორობა, ჟურნალისტები ხშირად უშვებდნენ შეცომებს სპორტული შეიჯბრების გაშუქების დროს. დროთა განმავლობაში მიდგომა შეიცვალა, დღესდღეობით ისეთ მძიმე შეცომებს ამ მხრივ აღარ უშვებენ, თუმცა მაინც ვხვდებით გენდერულ უთანასწორობას.

საზოგადოების დამოკიდებულების შესასწავლად და ცნობიერების ასამაღლებად არაერთი კამპანია იგეგმებოდა და იგეგმება. მსგავსი ღონისძიებების ჩატარება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან საზოგადოება უფრო მეტად იყოს ინფორმირებული. მაგალითად: 2022 წელს, საქართველოში, UNDP-ის ინიციატივითა და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით ჩატარდა[2] ერთთვიანი კამპანია გენდერული თანასწორობისა და მრავალფეროვნებისთვის. კამპანიის მიზანია იყო არსებული სტერეოტიპების დამსხვრევა,

[2] გენდერული თანასწორობისა და მრავალფეროვნებისთვის, 2022 წელი,

ქალთა გაძლიერების მხარდაჭერა და ადამიანებისთვის თავისუფალი არჩევანის პერსპექტივის წარმოჩენა.

ამ საკითხს ბევრი გამოეხმაურა მაგალითად, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი იოსებ ტყემალაძე[3] აღნიშნავს, რომ საქართველოში მუდამ არსებობდა დედის კულტი და ეს ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. თამარ მეფის დროსაც კი მამაკაცებიც და ქალებიც თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ და აუცილებლად ასე უნდა იყოს მომავალშიც.

ბორჯღალოსნების კაპიტანი მერაბ შარიქაძეც აკეთებს კომენტარს ამ თემაზე (იმავე წყაროზე დაყრდნობით) და მიიჩნევს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მონაწილეობის მიღება გენდერული მიმართულებით ცნობიერების ამაღლებაში და მეტი ყურადღება მიექცეს მსგავსი პროექტებს პოპულარიზაციას. მსოფლიოში ეს პრობლემა ჯერ კიდევ აქტუალურია, შესაბამისად ამ სიტუაციის გამოსასწორებლად მაქსიმუმი უნდა გავიღოთ.

საქართველო ყოველთვის ცნობილი იყო სპორტში ჩართულობითა და სხვადასხვა მიღწევებით, თუმცა განსაკუთრებით საყურადღებოა ქალების ჩართულობა ფიზიკურ აქტივობებში და ზოგადად სპორტულ ცხოვრებაში. მოსახლეობის 80%-ზე მეტი საერთოდ არ არის სპორტით დაკავებული, ათი ქალიდან მხოლოდ ერთი მონაწილეობს ფიზიკურ აქტივობებში. მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობის უმეტესობა სპორტში აქტიურად იყოს ჩართული, რადგან თუ საერთაშორისო გამოცდილებას გავითვალისწინებთ, სპორტის პოპულარიზაცია მოქალაქეთა დამოკიდებულებებს და შეხედულობებს ამ საკითხის მიმართ კარგად ასახავს. ასევე ყურადღება უნდა გაამახვილონ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე როგორებიცაა: რამდენად ხელმისაწვდომია ყველასთვის სპორტული განათლება, თანაბარი შესაძლებლობები, სპორტული ორგანიზაციების მართვაში ქალების არასაკმარისი ჩართულობა და სპორტული დაწესებულებები. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ხშირია უთანასწორობის შემთხვევებიც, რასაც საზოგადოებაში გავრცელებული სხვადასხვა სტერეოტიპები უწყობს ხელს. ქალებისთვის კი აუცილებელია მონაწილეობა

[3] ქართველოს რაგბის კავშირი, „ბორჯღალოსნები ქალთა უფლებებისთვის“, rugby.ge, 2021 წელი,

მიიღონ სპორტულ აქტივობებში და გენდერული თანასწორობის პრინციპების გათვალისწინებით გააუმჯობესონ სპორტული პოლიტიკა და გაზარდონ ცხოვრების აქტიური და ჯანსაღი წესის ხელმისაწვდომობა. 2020 წლის საქართველოს პარლამენტის მიერ ჩატარებული[4] საკომიტეტო მოკვლევის მიხედვით სპორტში ქალების უფრო აქტიური მონაწილეობისთვის პირველ რიგში საჭიროა სოციალური სტერეოტიპების დაძლევა, თანასწორობა, შესაბამისი განათლების სრულყოფა და ინფრასტრუქტურის განვითარება. UNDP-ის ხელმძღვანელმა ლუიზა ვინტონმა აღნიშნა, რომ ამ ანალიზის შედეგად ხელი შეეწყობა ქალების ჩართულობას სპორტში, თაბარ შესაძლებლობებსა და მონაწილეობას, რაც ჯანსაღი და აქტიური ცხოვრებისთვისაა მნიშვნელოვანი, ასევე კანონმდებლობაში გენდერული საკითხები უფრო მეტად იქნება გათვალისწინებული.

მედია არის ძლიერი ინსტრუმენტი, თუ სტრატეგიულად არის ჩართული სპორტში გენდერული უთანასწორობის მოსაგვარებლად. ის ასევე არის ფარული ძალაუფლების წყარო, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოებაზე და აძლიერებს დამოკიდებულებებს, რწმენას და პრაქტიკას. სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებსა და მედიას შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი ძალა და ხმა, რათა მიიღონ ზომები და გაზარდონ ქალების ხილვადობა სპორტსა და ჟურნალისტიკაში არსებული უთანასწორობის აღმოფხვრის მიზნით, ასევე მედიაში დიდ პრობლემად რჩება ქალი სპორტული ჟურნალისტების სიმცირე. სპორტში თანასწორობის ხელშეწყობისთვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს თანაბარი შესაძლებლობები ყველა სქესისთვის. მედიაში სპორტული ამბების განხილვა სიფრთხილეს მოითხოვს, რადგან შეიძლება უნებლიეთ მხარი დაუჭიროთ გენდერულ უთანასწორობას.

2019 წელს ევროკავშირმა და ევროპის საბჭომ ერთობლივად განახორციელეს პროექტი[5]: „გენდერული თანასწორობა სპორტში“. ამ პროექტის მიზანი იყო სპორტული

---

[4] „როგორ გავზარდოთ საქართველოს მოსახლეობის ფიზიკური და სპორტული აქტიურობის დონე?“, 2020 წელი, <როგორ გავზარდოთ საქართველოს მოსახლეობის ფიზიკური და სპორტული აქტიურობის დონე? | United Nations Development Programme (undp.org)>, [07/05/2023]

[5] „საქართველო - გენდერული თანასწორობა სპორტში“. mes.gov.ge, 2019 წელი, გვ.2, გვ.6, https://mes.gov.ge/uploads/gallery/All-In-Georgia-GM.pdf, [08/05/2023]

ორგანიზაციების და ხელისუფლების მხარდაჭერა ისეთ აქტუალურ საკითხში, როგორიცაა გენდერული პრობლემები და სტრატეგიები, რათა სპორტში საბოლოოდ აღმოიფხვრას გენდერული უთანასწორობა. მიღებული მონაცემები სქესის მიხედვით დაიყო და ძალიან საინტერესო შედეგი მოგვცა. მონაცემების მიხედვით არცერთ სპორტულ ფედერაციას არ ჰქონდა გენდერული ბალანსი დაცული, მაგალითად, ეროვნული ოლიმპიური ფედერაციის მამაკაცი პრეზიდენტების რაოდენობა 87%-ია, ხოლო ქალების 13%. რაც შეეხება, ქართულ მედიას სხვადასხვა კომპანიებიდან და ორგანიზაციებიდან ნაკლებად არიან წარმოდგენილები ქალი ჟურნალისტები თუ რეპორტიორები. ოლიმპიური თამაშებზე დარეგისტრირებული ქალი სპორტული ჟურნალისტების რაოდენობა დაახლოებით 13%-დან მაქსიმუმ 25%-მდე მერყეობს, ზოგ ოლიმპიურ თამაშებზე კი საერთოდ ვერ ვხვდებით ჟურნალისტ ქალებს. ასევე მნიშვნელოვანია მონაცემები, რომელშიც აღნიშნულია, რომ სპორტის ფედერაციების 6%-მა სპეციალური საკომუნიკაციო მასალების სახელმძღვანელო შეიმუშავეს, რათა გენდერული დაბალანსებული წარმომადგენლობა იყო, განსაკუთრებით კი სოციალურ მედიაში.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა აანალიზებს გენდერულ ასპექტებს სპორტულ მედიაში, რამდენად დაბალანსებული და თანასწორია სპორტული ამბების გაშუქების დროს, როგორც ქალების მონაწილეობა და წარმატება, ისე კაცების. შესაბამისად, კვლევისთვის გამოვიყენე რაოდენობრივი და თვისებრივი კონტენტ-ანალიზი, ასევე სიღრმისეული ინტერვიუ.

რაოდენობრივი კონტენტ-ანალიზის საშუალებით საკვლევად არჩეულ მედიასაშუალებებში დავთვალეთ გამოქვეყნებული სპორტული ამბები, როგორც ქალებზე, ისე კაცებზე, სადაც ყურადღება გამახვილებულია მათ მიღწევებზე, წარმატებებზე და სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებზე, ასევე შესაბამისად შევადგინეთ კოდირების ანკეტა. თვისებრივი კონტენ-ანალიზით კი გავაანალიზეთ სპორტული ამბები, შემდეგ კი

გარკვეულ კატეგორიებად დავახარისხეთ. კვლევის მონაცემების დასაზუსტებლად გამოვიყენეთ ჩაღრმავებული ინტერვიუ, რომელიც სპორტულ ჟურნალისტებთან ჩატარდა. საკვლევი მეთოდების გამოყენება ეფექტური არის ისეთ სოციალურ და პრობლემურ საკითხებზე, როგორიცაა გენდერული ასპექტები სპორტულ მედიაში,რადგან ამ დროს უფრო კარგად და ღრმად შეგვიძლია შევისწავლოთ სამიზნე აუდიტორიის დამოკიდებუებები, შეხედულებები.

როგორც მედიისა და კომუნიკაციის კვლევის მეთოდების სახელმძღვანელოში (მაია ტორაძე, ხათუნა მაისაშვილი, 2019) ვკითხულობთ, კონტენ-ანალიზი ხშირად გამოიყენება კვლევების დროს, რადგან მისი მეშვეობით მიღებული შედეგები სანდო და ეფექტურია, კონკრეტულად კი კონტენტ-ანალიზი სიზუსტის ძიებაში გვეხმარება.

კვლევის დიზაინი

კვლევისთვის შევარჩიეთ შემდეგი ონლაინ მედიასაშუალებები: „europop.ge", „sportall.ge", და „crystalsport.ge". საკვლევი პერიოდი კი არის 6 თვე, 2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წლის 1 მაისამდე.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა საკვლევი კითხვები:

1.რამდენად სისტემურად შუქდება ქალთა გუნდური თუ ინდივიდუალური სპორტული სახეობები მედიაში?

2.ქართულ ონლაინმედიებში ქალთა მონაწილეობით უფრო ხშირად გვხვდება სპორტული ამბები თუ კაცთა მონაწილეობით?

3.რომელ სპორტულ სახეობებში უფრო ხშირად მონაწილეობენ ქალები?

4.ვხვდებით თუ არა გენდერულ სტერეოტიპებს სპორტული ამბების გაშუქების დროს?

5. რა განაპირობებს გენდერულ დისბალანს ქართული სპორტული ღონისძიებების გაშუქების პროცესში?

კვლევის ჰიპოთეზა: საკვლევად შერჩეულ ქართულ სპორტულ ონლაინმედიებში ვხვდებით გენდერულ დისბალანსს, რაც გამოწვეულია ქალების ნაკლები ჩართულობით სპორტის სახეობებში.

I თავი: კვლევის შედეგები

1.1.რაოდენობრივი კონტენტ-ანალიზი

1.1.1."europop.ge”

ჩვენი კვლევისთვის რაოდენობრივი კონტენტ-ანალიზი გამოვიყენეთ, რადგან კატეგორიებად დაგვეხარისხებინა სტატიები, შესაბამისად შევადგინეთ კოდირების ანკეტა და საკვლევად შერჩეულ სპორტულ საიტებზე 6 თვის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიები, როგორც ქალების, ისე კაცების შესახებ, რაოდენობრივად წარმოვადგინეთ. რაოდენობრივმა კონტენტ-ანალიზმა უფრო თვალსაჩინო შედეგები მოგვცა, რითაც საკმაოდ დიდი განსხვავება მივიღეთ გამოქვეყნებულ სტატიებზე.

საკვლევად შერჩეული პირველი ონლაინმედია იყო „europop.ge”, საკვლევი პერიოდი იყო 2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023წ 1 მაისამდე. აღნიშნული მედიის გვერდზე სულ მოიძებნა 4606 მასალა, სადაც ინფორმაცია მხოლოდ კაცების შესახებ იყო, ხოლო ქალების შესახებ ვხვდებით 137 მასალას. შევადგინეთ კოდირების ანკეტა და დავთვალეთ კონკრეტულად რომელ სპორტ სახეობაში რამდენი ინფორმაცია იყო გამოქვეყენბული, როგორც ქალებზე, ისე კაცებზე. ასევე გამოვყავით მხოლოდ ის განყოფილებები, სადაც ქალების შესახებ იდო სტატიები, თუმცა მივანიშნეთ და დავთვალეთ იმ განყოფილებებში გამოქვეყნებული მასალები, სადაც ქალების შესახებ საკვლევი პერიოდის განმავლობაში არცერთი ინფორმაცია არ დადებულა.

ცხრილი N1 - გამოქვეყნებული მასალების რაოდენობა

საიტი - europop.ge		
სპორტული სახეობები	გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა - სულ 137 (ქალები)	გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა - სულ 4606 (კაცები)
ფეხბურთი	7	2527
კალათბურთი	5	657
ჩოგბურთი	35	310
ჭიდაობა	5	185
ძიუდო	9	178
MMA	3	65
ჭადრაკი	12	74
ძალოსნობა	4	57
ფრენბურთი	11	49
ფიგურული სრიალი	26	51
ფარიკაობა	7	28
ტყვიის სროლა	4	14
ზამთრის სახეობები	9	48
სხვა სახეობები, სადაც ქალებზე არ დადებულა ინფორმაცია	0	363

როგორც ცხრილიდან ჩანს, მასალებს შორის ძალიან დიდი სხვაობაა. სპორტის სახეობებიდან გამოირჩევა ჩოგბურთი, და ფიგურული სრიალი, რადგან აქ ყველაზე მეტი ინფორმაცია გამოქვეყნდა ქალების შესახებ, სხვა სპორტულ სახეობებში კი ძალიან ცოტა მასალას ვხვდებით. ძირითადად, შერჩეულ ონლაინმედიაში ვხვდებით ისეთ მასალებს, რომელშიც დომინანტური პოზიცია კაცებს უჭირავთ. საიტზე ყოველდღიურად უამრავი და საინტერესო ინფორმაცია იდებოდა, თუმცა მამაკაცი სპორტსმენების შესახებ, რაც ხაზს უსვამს გენდერულ დისბალანს. არათანაბარმა გაშუქებამ შეიძლება საზოგადოებაში გარკვეული აზრი ჩამოაყალიბოს, რომ ქალების მონაწილეობა სპორტში არ არის ისეთი

მნიშვნელოვანი და საინტერესო, როგორიც კაცების. სტატიების უმეტესობა, რომლებიც ქალების შესახებ არის დაწერილი, მიმდინარე მნიშვნელოვან გამარჯვებებს ეხება და მხოლოდ ყველასთვის ცნობილ სპორტსმენებზე აკეთებენ აქცენტს.

ცხრილი N2 - განყოფილებებში გამოქვეყნებული მასალები

განყოფილება	რაოდენობა (ქალები)	რაოდენობა (კაცები)
ქართული ფეხბურთი	4	1364
მსოფლიო ჩემპიონატი	3	1713
კალათბურთი (ქართული კალათბურთი)	5	507
ჩოგბურთი (ქართული ჩოგბურთი)	35	280
ჭიდაობა (სამბო)	5	83
სხვა სახეობები (ძიუდო, MMA, ჭადრაკი, ძალოსნობა, ფრენბურთი, ფარიკაობა, ტყვიის სროლა)	50	611
ზამთრის სახეობები (ფიგურული სრიალი)	35	48

მეორე ცხრილში წარმოდგენილია განყოფილებები, რომლებშიც გამოქვეყნდა მასალები. ცხრილის მიხედვით ყველაზე მეტი სტატია ქალების შესახებ სხვა სახეობების განყოფილებაში გამოქვეყნდა, რადგან აქ რამდენიმე სპორტის სახეობაა წარმოდგენილი, ძირითადად კი ის სახეობები, რომლებშიც ქალები უფრო აქტიურად მონაწილეობენ. ასევე მასალებს ვხვდებით ჩოგბურთის და ზამთრის სახეობების განყოფილებებში, ხოლო ფეხბურთში, კალათბურთსა და სხვა მსგავს სახეობებში თითქმის არ იდება ქალების შესახებ ინფორმაცია.

1.1.2. "Sportall.ge"

საკვლევად შერჩეული მეორე ონლაინმედია იყო „Sportall.ge". აღნიშნული მედიის გვერდზე სულ მოიძებნა 4241 მასალა, საიდანაც 63 სტატია იყო ქალების შესახებ, 4178 კი_ მამაკაცების.

ცხრილი N3 - გამოქვეყნებული მასალების რაოდენობა

საიტი - sportall.ge		
სპორტული სახეობები	გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა სულ- 63(ქალები)	გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა სულ - 4178 (კაცები)
ფეხბურთი	14	3271
კალათბურთი	9	496
რაგბი	5	167
ჭიდაობა	7	59
ჩოგბურთი	3	39
მძლეოსნობა	2	13
მშვილდოსნობა	1	1
ფარიკაობა	4	5
ფრენბურთი	2	1
ჭადრაკი	6	3
ფიგურული სრიალი	10	1
სხვა სახეობები, სადაც ქალებზე არ დადებულა ინფორმაცია	0	122

როგორც ცხრილიდან ჩანს, გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან და საკმაოდ დიდი სხვაობაა. ყველაზე მეტ სტატიას ჩამოთვლილი სპორტის სახეობებიდან ფეხბურთის შესახებ ვხვდებით, როგორც ქალების, ისე კაცების შესახებ. მთლიანობაში, საკვლევი 6 თვის განმავლობაში ფეხბურთის შესახებ, სადაც მამაკაცები მონაწილეობენ 3271 სტატია არის გამოქვეყნებული, ხოლო ქალების შესახებ მხოლოდ 14. შედეგები ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან და აშკარად უყურადღებოდ რჩება ქალების მონაწილეობა სხვადასხვა სპორტულ სახეობებში. ასევე 122 სტატია იყო გამოქვეყნებული ისეთ სახეობებში, სადაც საკვლევი პერიოდის განმავლობაში

ქალების შესახებ ერთ ინფორმაციასაც კი ვერ ვხვდებოდით, ეს სახეობებია: კრივი, ტანვარჯიში, მკალვჭიდი, კარატე, ნიჩბოსნობა, MMA, წყალბურთი, ხელბურთი, ავტოსპორტი, ჰოკეი.

ცხრილი N4 - განყოფილებებში გამოქვეყნებული მასალები

განყოფილება	რაოდენობა (ქალები)	რაოდენობა (კაცები)
ფეხბურთი (ქართული ფეხბურთი)	10	1493
ფეხბურთი (უცხოური ფეხბურთი)	4	1980
კალათბურთი (ლეგიონერები)	4	254
კალათბურთი (ასაკობრივი ნაკრებები)	5	50
რაგბი (სხვადასხვა)	5	67
ჭიდაობა (ქალთა ჭიდაობა)	7	0
სხვა (ჩოგბურთი, ძალოსნობა, მშვილდოსნობა, ფარიკაობა, ფრენბურთი, ჭადრაკი, ფიგურული სრიალი)	28	334

ზემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ის განყოფილებები, სადაც ქვეყნდებოდა სპორტულ სიახლეები, ამ შემთხვევაშიც რიცხვები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. როგორც აღმოჩნდა, ყველაზე მეტი სტატია ამ კონკრეტულ ონლაინმედიაში, უცხოური ფეხბურთის განყოფილებაში დაიწერა, რადგან საკვლევი პერიოდის დროს მიმდინარეობდა მსოფლიო ჩემპიონატი, ამიტომ სიახლეები უფრო აქტიურად იწერებოდა. რაც შეეხება ქართულ ფეხბურთს აქ ქალებზე მხოლოდ 10 სტატიას ვხვდებით, რადგან ამ განყოფილებაში გამოქვეყნებული სტატიების 90% ხვიჩა კვარაცხელიას ეკუთვნის. რაც შეეხება კალათბურთს, ორივე განყოფილებაში ასაკობრივ ნაკრებებში და ლეგიონერებში ძალიან ცოტა ინფორმაციაა გამოქვეყნებული და ყურადღების ცენტრში მხოლოდ ორი ინფორმაციაა, საქართველოს 20 წლამდე გოგონათა ნაკრები და ქართველი კალათბურთელის ნატალია ოთხმეზურის წარმატება, შესაბამისად, სტატიებიც მხოლოდ მათ ირგვლივ ტრიალებს. ასევე ძალიან მცირეა სტატიების

რაოდენობა რაგბისა და ჭიდაობის განყოფილებაში, თუმცა მათთან შედარებით სხვადასხვა განყოფილებაში, სადაც რამდენიმე სპორტის სახეობა შედის, ვხვდებით სტატიებს ქალების შესახებ. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აქ ცალკე განყოფილებაა გამოყოფილი, ქალთა ჭიდაობა, რასაც სხვა საიტებზე ამ კონკრეტულ სპორტის სახეობაში არ ვხვდებით.

1.1. 3. "crystalsport.ge"

ბოლო ონლაინმედია, რომელიც კვლევისთვის გამოვიყენეთ არის „crystalsport.ge", რაოდენობრივი კონტენტ-ანალიზის საშუალებით დავთვალეთ გამოქვეყნებული მასალები, სპორტის იმ სახეობებში, რომლებშიც როგორც ქალები, ისევე კაცები მონაწილეობენ.

ცხრილი N5 - გამოქვეყნებული მასალების რაოდენობა

	საიტი - crystalsport.ge	
სპორტული სახეობები	გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა, სულ - 89 (ქალები)	გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა, სულ - 5932 (კაცები)
ფეხბურთი	21	4022
კალათბურთი	8	895
ჩოგბურთი	9	245
ძიუდო	8	98
ძალოსნობა	1	54
კრივი	1	41
MMA	2	28
სამბო	4	31
ფარიკაობა	9	38
ფრენბურთი	3	35
ფიგურული ციგურაობა	13	29
ჭადრაკი	10	25
სხვა სახეობები, სადაც ქალებზე არ დადებულა ინფორმაცია	0	391

როგორც ცხრილიდან ჩანს, გამოქვეყნებული სტატიების რაოდენობა ქალების შესახებ 89-ს შეადგენს, ხოლო კაცების 5932. როგორც წინა მაგალითების შემთხვევაში, აქაც ყველაზე დიდი ყურადღება ფეხბურთს ეთმობა, თუმცა არა ქალების შესახებ, რადგან საკვლევი პერიოდის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალებიდან 4022 სტატიას ვხვდებით კაცების შესახებ, ხოლო ქალებზე მხოლოდ 21, რაც მიანიშნებს ქალების სპორტში მონაწილეობის მიმართ არასათანადო ყურადღებაზე. იყო რამდენიმე სპორტული სახეობა, სადაც ქალების შესახებ არცერთი სტატია არ გამოქვეყნებულა, ესენია: ჭიდაობა, სუმო, კიკბოქსინგი, რაგბი, წყალბურთი, ხელბურთი, ჰოკეი, NFL, სნუკერი და ნიჩბოსნობა.

ცხრილი N6 - განყოფილებებში გამოქვეყნებული მასალები

განყოფილება	რაოდენობა (ქალები)	რაოდენობა (კაცები)
ფეხბურთი (ქართული ფეხბურთი)	15	1897
ფეხბურთი (მსოფლიო ფეხბურთი)	7	2827
კალათბურთი (ლეგიონერები)	5	325
ჩოგბურთი (ქართული ჩოგბურთი)	9	167
ჩოგბურთი (WTA)	6	39
სხვა (ძიუდო, ძალოსნობა, კრივი, MMA, სამბო, ფარიკაობა, ფრენბურთი, ფიგურული ციგურაობა, ჭადრაკი)	47	677

როგორც სხვა ონლაინმედიების მსგავსად, აქაც იგივე სპორტულ განყოფილებებს ვხვდებით. ქალების შემთხვევაში ყველაზე მეტი ინფორმაციას სხვადასხვა განყოფილებაში ვხვდებით, რადგან აქ უამრავი სპორტული სახეობები ერთიანდებიან. კაცების შემთხვევაში კი 2827 სტატია გამოქვეყნდა მსოფლიო ფეხბურთის განყოფილებაში, რადგან როგორც

უკვე ზემოთ ავღნიშნეთ საკვლევი პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა მსოფლიო ჩემპიონატი.

დიაგრამა N1

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ჩვენს მიერ შერჩეული მედიასაშუალებების საბოლოო შედეგი, საკვლევ პერიოდში გამოქვეყნებული მასალების რაოდენობა, როგორც ქალების, ისე კაცების შემთხვევაში. დიაგრამაზეც კარგად ჩანს თუ რამხელა განსხვავება მოგვცა ჩატარებულმა რაოდენობრივმა კონტენ-ანალიზმა. სპორტული სტატიების რაოდენობა, რომლებიც კაცების შესახებ გამოქვეყნდა, მიახლოებულიც არ არის იმ რაოდენობასთან რომლებიც ქალების შესახებ ქვეყნდება.



დიაგრამა N2

მეორე დიაგრამაზე კი კვლევის შედეგები წარმოვადგინეთ პროცენტულად.



1.2 თვისებრივი კონტენტ-ანალიზი

თვისებრივი კონტენტ-ანალიზით შევეცადეთ დაგვენახა მთავარი მესიჯები და ის თუ როგორ მუშაობენ ონლაინმედიები. თითოეულ სპორტულ საიტზე განვიხილეთ ყველაზე მნიშვნელოვანი სტატიები, რადგან ზოგადი სურათი გვქონოდა თუ როგორ სპორტულ ამებებს აქვეყნებენ, რას ექცევა უფრო მეტად ყურადღება და ა.შ. კვლევამ გვაჩვენა, რომ საკვლევად შერჩეულ საიტებზე ძირითადად ერთნაირი სიახლეები იდება, ქალების შესახებ კი ძალიან ცოტა ინფორმაციას ვხვდებით და სხვა საინტერესო სიახლეები ყურადღების გარეშე რჩება.

გენდერული დისბალანსი სპორტში ჯერ კიდევ ღრმად არის ფესვგადგმული ქართულ საზოგადოებაში, სადაც სპორტი იყოფა ქალთა სპორტულ სახეობებად და კაცების, სადაც ისინი უპირატესად არიან წარმოჩენილები. სპორტის მმართველი სტრუქტურები და მედია

თავიანთი მოქმედებებით ადასტურებენ ამ გენდერულ დისბალანს, რამაც საბოლოოდ მზარდი მნიშვნელობა მოიპოვა. იმისდამიუხედავად, რომ დიდია დაინტერესება ქალების სპორტში ჩართულობის მიმართ, ასევე დიდი განსხვავებაა მედიის მხრიდან მათი მიღწევების გაშუქების მხრივ. ზოგადად, ტელევიზიებში თუ ონლაინ მედიებში, როგორც საეთერო დრო ან სტატიების რაოდენობა, საკმაოდ დაბალ მაჩვენებელზეა. ერთი მხრივ, ეს დაბალი მაჩვენებელი დაკავშირებულია ქალების მცირე რაოდენობასთან სპორტში ჩართულობის კუთხით, მეორე მხრივ კი, ნაკლები დაინტერესებით. ქალი სპორტული ჟურნალისტები ცდილობენ მეტი პატივისცემით გააშუქონ ქალების სპორტული მიღწევები, თუმცა ტელევიზიებში, რადგან, სამწუხაროდ, ჩვენ საკვლევ ონლაინმედიებში ქალი სპორტულ ჟურნალისტებს მიერ დაწერილ სტატიებს ვერ ვხვდებით. სპორტულ მედიაში მუშაობა ქალებისთვის საკმაოდ რთულია, რადგან მათ გენდერული ბარიერების გადალახვა უწევთ, შესაბამისად ქალთა სპორტის რეალურ არსებობას და მნიშვნელობას საზოგადოებაში დიდი ყურადღება არ ექცევა. მედიის სათანადო ყურადღება სპორტის მიმართ არის შესანიშნავი ინსტრუმენტი გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ საბრძოლველად. როდესაც ქალების სპორტს მეტ ღირებულებას მისცემს მედია, აუცილებლად გაიზრდება სპორტის მიმართ დაინტერესებული ადამიანების რიცხვი.

სპორტში ქალების არასამართლიანი გაშუქების შესამცირებლად საჭიროა კონკრეტული ქმედებები:

- მედიის მხრიდან საზოგადოების დაინტერესების და სამართლიანი გაშუქების ვალდებულება
- გენდერული ბალანსის დაცვა, კონკრეტულად ონლაინმედიაში თანაბარი სტატიების რაოდენობა
- სპორტულ მედიაში არსებული ნეგატიური სტერეოტიპების დანგრევა
- ქალების სპორტში ჩართულობისა და დაინტერესების გზარდა

პირველ რიგში, მედიის პროფესიონალიზმი ქალების და კაცების თანაბარი გაშუქების ხარისხით აისახება, ასევე ეთიკური ჟურნალისტიკის პრინციპების დაცვით მედია

ორგანიზაციებისთვის მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე აქტიურად იმუშაონ და განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სპორტული სიახლეების სწორად გაშუქებას. ამ მხრივ განათლების როლი საკმაოდ დიდია, რადგან წახალისებული უნდა იყოს გენდერული სტანდარტების დანერგვა სპორტულ ჟურნალისტიკაში და ასევე დაადგინონ სტანდარტები საერთაშორისო ორგანიზაციებთან საუკეთესო პრაქტიკის გაცვლისთვის. საჭირო ხელშეწყობა და შემდგომ განვითარება მოტივაციას მისცემს მედიას და ჟურნალისტებს მეტი ყურადღება მიაქციონ ქალების სპორტულ მიღწევებს და მათ შორის ეთიკის სტანდარტებს. საქართველოში საკმაოდ ბევრი სპორტული ონლაინმედია არსებობს, თუმცა ჩვენს მიერ საკვლევად არჩეული ონლაინმედიები ყველაზე ცნობილი საიტებია, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ სპორტზე მუშაობენ, ესენია: europop.ge, crystalsport.ge და sportall.ge. დღესდღეობით, ვინც ასე თუ ისე ჩახედულია სპორტში და ყოველდღიურად ადევნებს თვალს სხვადასხვა სპორტულ მედია საშუალებებს, ყველა მიხვდება რომ საკმაოდ დიდი სხვაობაა ქალების სპორტში ჩართულობის მხრივ და ინფორმაციის რაოდენობრივი თვალსაზრისით. უმეტესად, უფრო აქტუალურია და მეტი ყურადღება ეთმობა სპორტში იმ სახეობებს, სადაც კაცები მონაწილეობენ, შესაბამისად საზოგადოების მხრიდანაც ინტერესი ამ ახალ ამბებზე უფრო მეტია.

საკვლევი პერიოდის განმავლობაში ჩვენ მიერ არჩეულ მედიასაშუალებებში გამოქვეყნებული მასალები მიხედვით გამოვყავით სხვადასხვა საკითხები და ამ საკითხების მიხედვით განვიხილეთ თითოეული საკვლევად არჩეული ონლაინმედია:

1.არჩეულ ონლაინმედიებში გამოქვეყნებული სტატიები ქალებისა და კაცების შესახებ მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, განსაკუთრებით რაოდენობით.

2.ძირითადი საკითხები, რაზეც იწერება სტატიები.

3.სტატიების კომენტარები, ხალხის გამოხმაურება სხვადასხვა სპორტულ სიახლეებზე.

4.სტატიების სტრუქტურა და შინაარსი.

1.2.1 "europop.ge"

დღესდღეობით, ონლაინ გამოცემები, რადიო, ტელევიზია, თითქმის ყველა მედიასაშუალება პირდაპირ არა, მაგრამ ირიბად ხაზს უსვამს ქალსა და მამაკაცს შორის განსხვავებს. პირველ რიგში, ეს აისახება ქალების წინსვლის მაჩვენებელზე, შესაბამისად მედია დიდ ზეგავლენას ახდენს ქალების სპორტში ჩართულობის მხრივ. მოცემული ონლაინმედიის დაკვირვების დროს მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ სტატიები მამაკაცების შესახებ არასდროს კვალიფიცირდებოდა გენდერული ნიშნით, რაც აჩვენებს, რომ საქართველო კვლავ მასკულინური, პატრიარქალური ქვეყნაა, რომელშიც დომინანტური პოზიცია კაცებს უჭირავთ. ეს კონკრეტული სპორტული ვებ-გვერდი იმიტომ ავირჩიე, რომ ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია და ინფორმაციის მხრივ სწრაფად მიწოდების ყველაზე კარგი წყაროა. ზოგადად, ეს სამი სპორტული საიტი, რომელიც კვლევისთვის შევარჩიეთ საუკეთესოა ქართულ სპორტულ მედიებში, მაგრამ ქალების მხრივ დამოკიდებულება ისეთივეა, როგორც ჩვენ მიერ განხილულ სხვა საიტებზე. ჩვენ ასევე დავაკვირდით საკვლევად შერჩეულ ონლაინმედიებზე გამოქვეყნებული სტატიების კომენტარებს, რათა შეგვედარებინა საზოგადოების აზრი. ხალხის მხრიდან ბევრად განსხვავებულია გამოხმაურება, მაგალითად, ხვიჩა კვარაცხელიას ნიუსზე, ვიდრე რომელიმე ქართველი ქალი სპორტსმენის ძალიან დიდ წარმატებაზე, ამით იმის თქმა მინდა, რომ რაც არუნდა დიდი მიღწევა ჰქონდეს ქალ სპორტსმენებს, კაც სპორტსმენებთან შედარებით მაინც ნაკლებ ყურადღებას იმსახურებენ. როდესაც ქართველი კაცი სპორტსმენი წარმატებას აღწევს ამ სტატიებზე ვკითხულობთ უამრავ კომენტარებს, რომ ეს ქვეყნისთვის და ყველასთვის ძალიან სასაიხარულო და საამაყოა, თუმცა სამწუხაროდ, იგივე გამოხმაურება არ გვხვდება ქალ სპორტსმენებზე. ევროპოპზეც სხვა საიტების მსგავსად თითქმის იგივე სიტუაცია გვაქვს. სპორტის სახეობებში, სადაც ქალები მონაწილეობენ საზოგადოებაც ნაკლებად არის გარკვეული, ბევრმა არც კი იცის, რამდენი ქალთა გუნდი არსებობს, რომელ სახეობებში მონაწილეობენ უფრო მეტად ქალები და ა.შ, თუმცა კაცების სპორტული მიღწევების შესახებ თითქმის ყველამ იცის, რა არის ამის მიზეზი? რა თქმა უნდა, მედიასაშუალებების ნაკლები

ყურადღება, რადგან რასაც საზოგადოება ყოველდღიურად კითხულობს და ისმენს, შესაბამისად იმ საკითხებში მეტად იქნება გარკვეული. „europop.ge”-ზე საკვლევი პერიოდის განმავლობაში მთლიანად გამოქვეყნდა 4743 სპორტული ამბავი, აქედან ქალებზე მხოლოდ 137 სტატია იყო. განსხვავება კი დაახლოებით რომ დავიანგარიშოთ და პროცენტულადაც რომ გამოვიტანოთ, 98.5%-ია სპორტის სახეობებზე, სადაც კაცები მონაწილეობემ, 2.9% კი ქალებზე.

ახლა კი ცალ-ცალკე რომ განვიხილოთ, ყველაზე მეტი რაოდენობის სტატია ფეხბურთის განყოფილებაში დაიწერა, სადაც კაცების მონაწილეობაზე 2527 ახალ ამბავს ვხვდებით, ქალთა სახეობებში კი მხოლოდ 7-ს. ამ ბოლო დროს საქართველოსთვის ე.წ. ოქროს ხანაა ნამდვილად, ხვიჩა კვარაცხელია იტალიურ „ნაპოლიშია“, გიორგი მამარდაშვილი ესპანურ „ვალენსიაში“, ორი ქართველი საფრანგეთის ლიგა 2-ში გამოდიოდა, ზურიკო დავითაშვილი „ბორდოში“ და გიორგი მიქაუტაძე „მეცში“, ეს უკანასკნელი ლიგა 2-ის ბომბარდირი გახდა და საფრანგეთის პირველ ლიგაშიც აღზევდა მისი გუნდი. ამის გარდა კიდევ ჰყავს საქართველოს ფეხბურთელები, რომლებიც საკმაოდ კარგ გუნდებში თამაშობენ, შესაბამისად სპორტული ამბები ძირითადად მათზე იწერება და ყოველდღიური განხილვის თემაა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქალების ჩართლობა ფეხბურთში დაგვავიწყდეს, ქალთა საკლუბო ფეხბურთზე თითქმის არაფერი გვესმის, ლანჩხუთის გურიის წარმატების მერე ფეხბურთში სრული სიწყნარეა, რომლის შემდეგაც დიდი დრო გავიდა. 7 ამბიდან, რომელიც ქალების შესახებ დაიწერა რამდენიმე იყო საქართველოს ასაკობრივ ნაკრებზე, ასევე ქართველ მსაჯ ქალზე თეონა სტურუაზე[6], რომელიც ფიფას საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი გახდა და კიდევ საქართველოს ქალთა საფეხბურთო ნაკრების ცვლილებებზე, რომელსაც ქალი მთავარი მწვრთნელი ირის ანტმანი გაწვრთნის[7].

---

[6] *“თეონა სტურუა ფიფას საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი გახდა“,* europop.ge, 03/02/2023, <თეონა სტურუა ფიფას საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი გახდა - europop>, [17/05/2023]

[7] *„საქართველოს ქალთა ნაკრებს ისრაელი მწვრთნელი უხელმძღვანელებს“,* europop.ge, 10/04/2023, <https://europop.ge/article/52284-sakartvelos-kalta-nakrebs-israeleli-mcvrtneli-ukhelmdzghvanelebs>, [17/05/2023]

შემდეგი სპორტის სახეობა არის კალათბურთი, სადაც კაცების შესახებ 657 სტატია დაიწერა, ხოლო ქალების შესახებ მხოლოდ 5. აქ რაც არუნდა გასაკვირი იყოს ძველ დროსთან შედარებით კაცებზე ახალი ამბები შესამჩნევად ბევრია, რადგან ჩვენი საკალათბურთო ჩემპიონატი ბევრად დიდ ინტერესს იწვევს ხალხში ვიდრე ადრე. რაც შეეხება ქალებს, არცერთი სანაკრებო ახალი ამბავი არ არის დაწერილი, რომელიც ქალების მონაწილეობას ეხება კალათბურთში, არც გუნდურ შეჯიბრებებზეა ამბები. კალათბურთში ხუთივე ამბავი ეხება წარმატებულ ქალ კალათბურთელს, ნატალია ოთხმეზურს[8]. რაც შეეხება ჩოგბურთს, აქ 310 სტატია დაიწერა კაცებზე, 35 კი ქალებზე. საქართველოში, სპორტის სახეობებში, სადაც ქალები მონაწილეობენ შედარებით ყველაზე აქტუალური სპორტია ჩოგბურთი, შესაბამისად სხვა სპორტული სახეობებისგან განსხვავებით აქ უფრო მეტი სტატიაა დაწერილი ქალებზე. აქაც უმეტესწილად კაცებზე ნიკოლოზ ბასილაშვილზე ვხვდებით სტატიებს[9], ან დიდი სლემის ტურნირების შესახებ[10]. ქალთა სახეობებში კი ვხვდებით ეკატერინე გორგოძეს[11], მარიამ ბოლქვაძეს[12] და აქაც დიდი სლემის ტურნირებს, ასევე ბოლო დროს ბევრი იწერებოდა იმასთან დაკავშირებით, რომ რუსებს ეკრძალებათ თავიანთი დროშის ქვეშ გამოსვლა, შესაბამისად ამ საკითხებსაც აკრძალვებს, მსჯელობებს რამდენიმე სტატია მიეძღვნა[13].

---

[8] *„ოთხმეზურმა ყველა სამქულიანი ჩააგდო - სეზონის რეკორდი კოლეჯების ლიგაში“,* europop.ge, 14/12/2022, <https://europop.ge/article/49426-otkhmezurma-qvela-samkuliani-chaagdo-sezonis-rekordi-kolejebis-ligashi>, [17/05/2023]

[9] *„მოგება ორ სეტში - ბასილაშვილი დოჰას ტურნირის კვალიფიკაციის ფინალშია“,* europop.ge, 18/02/2023,

<https://europop.ge/article/51012-mogeba-or-setshi-basilashvili-dohas-turniris-kvalipikatsiis-pinalshia>, [19/05/2023]

[10] *„AUS OPEN - პირველი ფინალი და პირველი ტიტული, არინა საბალენკა ჩემპიონია“,* europop,ge, 28/01/2023,

<https://europop.ge/article/50457-aus-open-pirveli-pinali-da-pirveli-tituli-arina-sabalenka-chempionia>, [19/05/2023]

[11] *„წლის პირველი ტიტული - გორგოძემ პორტუს ტურნირი მოიგო“,* europop.ge, 11/02/2023, <https://europop.ge/article/50830-clis-pirveli-tituli-gorgodzem-portus-turniri-moigo>, [19/05/2023]

[12] *„მემარცხენე არავის არ უყვარს - მარიამ ბოლქვაძე ევროპოპის არხზე“,* europop.ge, 23/04/2023, <https://europop.ge/article/52607-memartskhene-aravis-ar-uqvars-mariam-bolkvadze-evropopis-arkhze>, [19/05/2023]

[13] *„2023 წლის უიმბლდონზე რუსი და ბელარუსი ჩოგბურთელები დაუშვეს“,* europop.ge, 31/03/2023, <https://europop.ge/article/52031-2023-clis-uimbldonze-rusi-da-belarusi-chogburtelebi-daushves> , [19/05/2023]

რაც შეეხება ძალისმიერ სპორტს, ჭიდაობაში კაცების შესახებ 185 ამბავია გამოქვეყნებული, ქალთა ჭიდაობაში კი 5. ძიუდოში 178-ია კაცების, ხოლო ქალთა შესახებ 9. MMA-ში 3 სტატიაა გამოქვეყნებული ქალების შესახებ, 65 კი კაცებზე, ქალებზე ადრე ბევრად მეტ ახალ ამბავს ვხვდებოდით, რადგან ლიანა ჯოჯუა გამოდიოდა ამერიკულ ყველაზე დიდ ორგანიზაციაში UFC-ში, მაგრამ ქალი სპორტსმენი ამ დროისთვის ამ სახეობაში საქართველოს არ ჰყავს. როდესაც დიდი ტურნირები ტარდება, ამ შემთხვევაში კაცების მონაწილეობა უფრო აქტუალურია და მეტი მაყურებელი ჰყავს, ვიდრე ქალებს.ამ რიგ შემთხვევაშიც, რა თქმა უნდა, გენდერული თანაფარდობა აუცილებელია და მეტი დაინტერესება მნიშვნელოვანია, შესაბამისად ონლაინმედიების ვალდებულებაა, ჩვენამდე მოიტანონ ამბავი იმისა, თუ რა ხდება, ზოგადად, როგორც კაცების შესახებ სპორტში, ასევე ქალების.

ჭადრაკში, რომელიც შემდეგი სახეობაა, 74 სტატიას ვხვდებით კაცების შესახებ, ხოლო 12-ს ქალებზე. ამ შემთხვევაშიც, სტატიების უმეტესობა ერთ ადამიანს, წარმატებულ ქართველ მოჭადრაკეს, ნანა ძაგნიძეს ეხება[14], თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოში ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდა ჭადრაკში, მაგრამ ამის შესახებ ინფორმაციას ვერ ვხვდებით.

ძალოსნობაში 57 კაცების შესახებ, ქალებზე კი 4. ფრენბურთში, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სპორტად მიიჩნევა, ქალების ჩართულობის მხრივ 11 სტატიას ვხვდებით, ხოლო კაცებზე 49-ს. სპორტული სახეობებიდან, სადაც ქალები მონაწილეობენ ასევე პოპულარული სახეობაა ფიგურული სრიალი, მაგრამ მხოლოდ 26 სტატიაა ქალების შესახებ დაწერილი, კაცებზე კი 51. ფარიკაობაში ქალების შესახებ ვხვდებით 7 სტატიას, რომელიც ძირითადად ირმა ხეცურიანს[15] და მის წარმატებებს ეხება, ხოლო კაცებზე 28

---

[14] *„ძაგნიძე გრან პრის ლიდერებშია - 5 ტური მარცხის გარეშე“,* „europop.ge, 07/02/2023, <https://europop.ge/article/50699-chadraki-dzagnidze-gran-pris-liderebshia-5-turi-martskhis-gareshe>, [19/05/2023]

[15] *„პარაფარიკაობა - ხეცურიანის ოქრო და ვერცხლი ვაშინგტონის მსოფლიო თასზე“,* europop.ge, 16/01/2023, <https://europop.ge/article/50132-paraparikaoba-khetsurianis-okro-da-vertskhli-vashingtonis-msoplio-tasze>, [22/05/2023]

ამბავია. ასევე სხვა სახეობებში კიდევ 363 ინფორმაციაა გამოქვეყნებული კაცების შესახებ, მაგრამ ქალებზე არცერთი.

1.2.2 sportall.ge

ჩვენი მომდევნო განსახილველი საიტი "sportall.ge"-ია. საკვლევად შერჩეული ორი საიტი თუკი „გემბლინგ" კომპანიებია ამ შემთხვევაში ეს კონკრეტული საიტი გახლავთ, ცნობილი საინფორმაციო საიტის Interpressnews.ge-ის სპორტის განყოფილება. ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი და სანდო სპორტული საიტი, რომელიც საქართველოში არსებობს, მაგრამ ჩვენი განსახილველი საკითხი აქაც დიდად არ განსხვავდება სხვა ონლაინმედიებისგან. „sportall.ge"-ზე მთლიანობაში 2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წლის 1 მაისამდე გვხვდება სულ 4241 სპორტული ამბავი, საიდანაც კაცებზე 4178 სტატიაა გამოქვეყნებული, ხოლო ქალებზე მხოლოდ 63. რაც შეეხება პროცენტულად, ქალების შესახებ 1.4%-ია, შესაბამისად კაცთა სპორტის სახეობები 97.1%. თითოეულ ქართულ სპორტულ საიტზე ვრწმუნდებით, რომ თითქმის ერთნაირი ახალი ამბები არის გამოტანილი, რამდენიმე სხვაობის მიუხედავად.

ფეხბურთი, რომელიც ყველაზე აქტუალური სახეობაა სწორედ ამ სახეობით უნდა დავიწყოთ, სპორტის ამ ძალიან დიდი სხვაობაა, 3271 სტატია იყო კაცების შესახებ ხოლო ქალთა ფეხბურთში იყო მხოლოდ 14 ახალი ამბავი. აქაც, როგორც სხვა საიტების შემთხვევაში, ძირითადად ინფორმაცია იყო 17 წლამდე ასაკობრივ ნაკრებებზე[16], თუმცა ინფორმაცია აქაც არ არის საკლუბო ფეხბურთის შესახებ, ქალი ფეხბურთელების წარმატებებზე უცხოეთში, სხვადასხვა ტურნირებზე და ა.შ

რაც შეეხება კალათბურთს, აქაც ძალიან დიდი სხვაობაა კაცთა კალათბურთსა და ქალთა კალათბურთს შორის. კაცთა კალათბურთში გხვდება 496 ამბავი, მაგრამ ქალთა კალათბურთში ვხედავთ სულ რაღაც 9 ამბავს, და აქაც ძირითადად სტატიები ნატალია

[16] *„17 წლამდე გოგონათა ნაკრები უეფას განვითარების თასზე იასპარეზებს",* sportall.ge, 28/04/2023, <https://sportall.ge/fekhburthi/fekhburthii/skhvadaskhva/163816-17-tslamde-gogonatha-nakrebi-uefas-ganvitharebis-thasze-iasparezebs.html>, [23/05/2023]

ოთხმეზურის შესახებ[17] არის. ზოგადად, სპორტული ახალი ამბები გვხვდება საქართველოდან უცხოეთში წასულ ქალ კალათბურთელებზე, რომლებიც წარმატებას აღწევენ უცხოეთში. სხვა სპორტულ სახეობებშიც იგივე პრობლემაა, მაგალითად რაგბი, აქ 167 სტატიაა კაცების შესახებ და 5 ქალების. ძირითადად ქალების შესახებ ინფორმაცია იდება ნაკრებების შესახებ, „7-ქალა“ რაგბის შესახებ[18], სანაკრებო ტურნირებზე და მოსამზადებელ პერიოდზე. შემდეგი სპორტის სახეობა არის ჭიდაობა, სადაც გვხვდება 59 სტატია კაცების შესახებ, ხოლო ქალებზე 7. სპორტის ამ კატეგორიაში ერთიანდება როგორც ძიუდო ასევე თავისუფალი, კლასიკური, ქართული, სუმო და სამბო. ქალთა ძიუდოდან, გამორჩეული სპორტსმენები არიან და ძირითადად ინფორმაციას ვხვდებით ელენე ქებაძეზე[19] და ეთერ ლიპარტელიანზე[20].

რაც შეეხება ჩოგბურთს, აქ სულ 42 ამბავია, აქედან 39 კაცებზე, 3 კი ქალებზე. წინა საკვლევად შერჩეული ონლაინმედიებისგან განსხვავებით აქ ამ კონკრეტულ სპორტულ სახეობაზე სხვა საიტებთან შედარებით ქალებზე ძალიან ცოტა იწერება.

შემდეგ სპორტის სახეობას რაც შეეხება ეს არის მძლეოსნობა და აქ არის 13 კაცთა სპორტის სახეობებიდან, ხოლო 2 ქალთა შორის. მშვილდოსნობაში თანაბარი რაოდენობაა და 1 სტატია კაცების შესახებაა დაწერილი და ასევე 1 ქალებზე. ფარიკაობაშიც ძალიან მცირე განსხვავებაა და ვხვდებით 4 ამბავს ქალების შესახებ, ხოლო კაცებზე 5. ერთ-ერთი

---

[17] *„ნატალია ოთხმეზური ქალთა NCAA-ის Metro Atlantic Athletic კონფერენციის ჩემპიონია“,* sportall.ge 12/03/2023,

<https://sportall.ge/kalathburthi/legionerebi/162671-natalia-othkhmezuri-qaltha-ncaa-is-metro-atlantic-athletic-konferenciis-chempionia.html>, [23/05/2023]

[18] *„7-ქალა ელიტაში! - ჯერჯერობით მხოლოდ მსაჯით“,* sportall.ge, 24/05/2023, <https://sportall.ge/ragbi/skhvadaskhva/164392-7-qala--elitashi-jerjerobith-mkholod-msajith.html>, [24/05/2023]

[19] *„ელენე ქებაძემ რუსეთის წარმომადგენელი დაამარცხა და მსოფლიო ჩემპიონი გახდა“,* sportall.ge, 14/11/2022,

<https://sportall.ge/tcidaoba/sambo/159995-elene-qebadzem-rusethis-tsarmomadgeneli-daamarckha-da-msoflio-chempioni-gakhda.html>, [24/05/2023]

[20] *“ტაშკენტის გრან-სლემი: ლიპარტელიანმა ვერცხლის მედალი მოიპოვა - ჩხვიმიანი მედლის გარეშე დარჩა“,* sportall.ge, 03/03/2023,

<https://sportall.ge/tcidaoba/dziudo/162480-tashkentis-gran-slemi-lipartelianma-verckhlis-medali-moipova-chkhvimiani-medlis-gareshe-darcha.html>, [24/05/2023]

სპორტული სახეობა, სადაც ქალებზე მეტი სტატია წერია, თუმცა ძალიან უმნიშვნელო განსხვავებაა და ეს არის ფრენბურთი, სადაც ქალების შესახებ 2 ამბავია, ხოლო კაცებზე 1. აქ ვხვდებით ქართველი სპორტსმენის, ანა კალანდაძის ძალიან კარგ თამაშს[21], როდესაც საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა. ჭადრაკშიც მეტია ქალთა სახეობებიდან სპორტული ახალი ამბავი, ვიდრე კაცთა შორის, 6 არის ქალების შესახებ, ხოლო 3 კაცებზე. მნიშვნელოვანი სტატია იყო ნანა ძაგნიძეს შესახებ[22], ის მრავალ ტურნირზე შესანიშნავად გამოდიოდა და ჭადრაკში მართლაც, რომ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. ფიგურულ სრიალშიც მეტია ქალებზე ინფორმაცია და ვხვდებით 10 სტატიას, ხოლო კაცებზე მხოლოდ 1. ასევე არის სხვა სპორტის სახეობები, სადაც სტატიები მხოლოდ კაცების შესახებ დაიწერა და ამ განყოფილებაში 122 სტატიაა გამოქვეყნებული.

1.2.3 crystalsport.ge

კვლევის პერიოდში დადგინდა რომ "crystalsport.ge" ერთ-ერთი პირველია სპორტული ამბების გამოქვეყნების რაოდენობით საქართველოში და ბევრად მეტ ახალ ამბებს სთავაზობს მკითხველს, ვიდრე სხვა დანარჩნი. ჩვენს მიერ არჩეულ საიტზე, რომელსაც ვიკვლევთ, განთავსებული იყო 2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წლის 1 მაისამდე 6021 ნიუსი. სტატისტიკა ძალიან განსხვავებულია, რადგან მთლიანი რაოდენობიდან 5932 კაცებს ეკუთვნის, აქედან კი თითქმის არაფერია ის მონაცემი, რამდენიც ქალების შესახებ იწერება, 89 ეს მაჩვენებელი 1.5%-ია ანუ გამოდის, რომ სპორტის სახეობებს, სადაც კაცები მონაწილეობენ 98.6% მიეკუთვნება. ეს სტატისტიკები საზოგადოებისთვის უკვე გასაკვირიც არ არის, რადგან ყოველდღიურად უფრო მეტად ონლაინმედიებში, რადიოში

---

[21] *„ფრენბურთელი ანა კალანდაძე „ჩემპიონთა ლიგის“ ჯგუფური ეტაპის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა“,* sportall.ge, 22/02/2023, <https://sportall.ge/skhva-sakheobebi/frenburthi/162267-frenburtheli-ana-kalandadze-chempiontha-ligis-jgufuri-etapis-sauketheso-mothamashed-dasakhelda.html>, [26/05/2023]

[22] *„ნანა ძაგნიძე მსოფლიო საჭადრაკო რეიტინგ-სიის ათეულშია“,* sportall.ge, 02/03/2023, <https://sportall.ge/skhva-sakheobebi/tcadraki/162459-nana-dzagnidze-msoflio-satcadrako-reiting-siis-atheulshia.html>, [26/05/2023]

თუ ტელევიზიებში ვისმენთ ისეთ ამბებს, რომლებიც ეხება კაც სპორტსმენებს, მათ მიღწევებსა და წარმატებებს. არის გამონაკლისი შემთხვევები, ისეთი უდიდესი სპორტსმენები როგორებიც არიან ნონა გაფრინდაშვილი, ლეილა მესხი, ირმა ხეცურიანი და კიდევ ბევრი, მუდმივად ამტკიცებენ თავიანთ უსაზღვრო შესაძლებლობებს და უამრავ წარმატებებს მიაღწიეს მათ, შესაბამისად ჩვენი ისტორიიდანაც ვიცით, რომ წარმატებული ქალი სპორტსმენი საქართველოს ძალიან ბევრი ჰყოლია და დღესაც ჰყავს, რომლებიც ჩვენს ქვეყანას სიამაყის გრძნობას ჰგვრიან. კონკრეტულად, რომ განვიხილოთ და შევადაროთ სხვადასხვა სპორტის სახეობები, დავინახავთ, რომ ფეხბურთში გამოქვეყნებული ახალი ამბები კონკრეტულ საიტზე კაცების შესახებ იყო 4022, ხოლო ქალების 21. ჩემი დაკვირვებით ქალებზე სპორტული ამბები ფეხბურთში უმეტესწილად 21-დან 19 იყო ეროვნულ ნაკრებზე[23], მათ საწვრთნელ შეკრებებზე და ა.შ. საკლუბო ფეხბურთი ქვეყანაში თითქმის არ გვაქვს, არის რამდენიმე გამორჩეული გუნდი, თუმცა მათზე ინფორმაცია ძალიან ცოტაა.

შემდეგი სპორტის სახეობა კალათბურთია - აქ მონაცემები ასეთია, 895 სტატია კაცების შესახებ არის დაწერილი, ხოლო ქალების შესახებ მხოლოდ 8. კალათბურთის და ფეხბურთის შესახებ სტატიების რაოდენობა მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან, ეს კი თითოეული სპორტის აქტუალობასაც უსვამს ხაზს. გასაოცარი არ იქნება, თუკი ვიტყვით, რომ ფეხბურთი ყველაზე პოპულარულია საქართველოში, ეს არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მსოფლიოშიც ასეა. კონკრეტულად, ქალთა კალათბურთის ამ 8 სტატიიდან არცერთი ეხება ეროვნულ ნაკრებს ან ქალთა საკალთბურთო გუნდებს საქართველოში, ძირითადად ინფორმაცია ქართველ კალათბურთელს ნატალია ოთხმეზურს ეძღვნება[24].

შემდეგი სპორტის სახეობა განვიხილოთ, ეს არის ჩოგბურთი რომელიც ინდივიდუალური სპორტის სახეობაა, რადგან მაქსიმუმ წყვილებში თამაში ვიხილოთ. აქაც იგივეს ვხედავთ,

---

[23] *„კანკიას ეფექტური გოლი - საქართველოს ნაკრების U17 მორიგი გამარჯვება",* crystalsport.ge, 25/02/2023, < https://www.crystalsport.ge/news/51785>, [29/05/2023]

[24] *"ნატალია ოთხმეზურის ბრწყინვალე მატჩი - 25 ქულა 23 წუთში და 6 სამქულიანი",* crystalsport.ge, 22/02/2023, <https://www.crystalsport.ge/news/40916>, [29/05/2023]

პირველ რიგში გამოვიტანოთ სტატისტიკური მონაცემი 245 სტატია კაცების შესახებ, 9 ქალების. ჩოგბურთში 245 ამბავი მხოლოდ ერთ კაცზეა, 9 კი მხოლოდ ერთ ქალზე ან წყვილთა თანრიგზე. ქალების შესახებ დაწერილი ეს 9 ამბავი ეხება ქართველ ჩოგბურთელებს, ეკატერინე გორგოძეს[25] და გამოქვეყნებულია უცხოური ამბები დიდი სლემის ტურნირიდან[26]. კაცების 245 სტატიიდან უმეტესობა კი ბასილაშვილს ეხება[27]. სინამდვილეში, ქალთა ჩოგბურთი უფრო განვითარებული და აქტუალურია, ვიდრე სხვა სპორტული სახეობები.

შემდეგი სპორტის სახეობა, რაოდენობით რომ მივყვეთ, არის ძიუდო, 98 სტატია კაცების შესახებ და ქალების შესახებ - 8. ეს სტატისტიკა იმასაც მოწმობს, რომ საქართველოში გარკვეული წინსვლა ნამდვილად შეინიშნება და ძალისმიერ სპორტში ქალებიც უფრო აქტიურად ერთვებიან. ძალისმიერ სპორტში ძიუდო შესაძლოა ერთადერთი იყოს, სადაც ქალების რაოდენობა საკმაოდ ნორმალურადაა, გაზრდის პერსპექტივით, ამას მოწმობს ტიტულები ევროსარბიელზეც, რომლითაც ქართველი ხალხი ამაყობს და საკმაოდ ბევრი წარმატება უზეიმია საქართველოს ქალ ძიუდოისტთა დამსახურებით.

ძალოსნობა შემდეგი სახეობაა, სადაც 54 სტატია იყო დაწერილი კაცების შესახებ და მხოლოდ 1 ქალებზე. ამ სპორტის სახეობაში ალბათ ყველაფერი ერთმა ადამიანმა გადაფარა და ეს არის ლაშა ტალახაძე, თუმცა მისი შესაძლებლობები ნამდვილად იმსახურებას ამას, რადგან ყველა შეჯიბრზე აუმჯობესებს თავის რეკორდებს. ამის ფონზე სხვა ძალოსნები თითქოს იჩრდილებიან, მაგრამ ბევრია ამ სახეობაში ისეთი სპორტსმენი, როგორც ქალები, ისე კაცები, რომლებიც ვითარდებიან და წინ დიდი გზა ელით. შესაბამისად აუცილებლად ყურადღება უნდა მიექცეს ამ სახეობაში ქალების ჩართულობას,

---

[25] *"საქართველოს ნაკრებმა ბილი ჯინ კინგის თასი გამარჯვებით დაიწყო"*, crystalsport.ge, 11/04/2023, <https://www.crystalsport.ge/news/53079>, [29/05/2023]

[26] *„კლაშნიკოვა AUS OPEN-ის მერვედფინალშია"*, crystalsport.ge, 21/01/2023, <https://www.crystalsport.ge/news/50754>, [29/05/2023]

[27] *"დოჰას ტურნირი: ბასილაშვილმა საკვალიფიკაციო ეტაპზე გამარჯვება მოიპოვა"*, crystalsport.ge, 18/02/2023, <https://www.crystalsport.ge/news/51575>, [29/05/2023]

რადგან 6 თვის განმავლობაში ქალებზე მხოლოდ 1 სტატია დაიწერა და ეს იყო ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატის შესახებ[28].

თითოეულ სპორტის სახეობას თუკი გადავხედავთ ყველგან საოცარი ციფრებია, ამჯერად კრივია ჩვენი განხილვის საგანი სადაც ციფრები აქ 41-1-ზეა, MMA-ში ასეთი მდგომარეობაა 28-2-ზე, სამბო 31-4-ზე, ფარიკაობა 38-9-ზე, ფრენბურთი 35-3-ზე, ფიგურული ციგურაობა 29-13-ზე., ჭადრაკი 25-10-ზე, სხვა სპორტის სახეობებში კი 391-დან არცერთში ქალებზე არცერთი ინფორმაცია არ დადებულა.

1.2.4 შედარებითი ანალიზი

საკვლევი პერიოდის განმავლობაში, 2022 წლის 1 ნოემბრიდან 2023 წლის 1 მაისამდე, ჩვენს მიერ შერჩეულ ონლაინმედიებზე დავაკვირდით სხვადასხვა სტატიებს და თითოეული მათგანი დაწვრილებით განვიხილეთ.

ჩვენი ანალიზი აუცილებლად თვალშისაცემია და დასაფიქრებელი იმ საკითხებზე, რომლებზეც ვსაუბრობთ, ვწერთ, გვესმის, ვაკეთებთ თუ ა.შ. გენდერული ბალანსი სპორტში თითქმის არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში, საქართველოში და იმ საიტებზე, რომლებიც საქართველოში ერთ-ერთი წამყვანია, ეს ჩვენი კვლევიდანაც ძალიან კარგად ჩანს. ერთ მხრივ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ იმდენად არ შეინიშნება ქალების სპორტით დაინტერესება და ყველა სპორტულ სახეობებში ჩართულობა, როგორც კაცების, ამით ნაწილობრივ შეიძლება ავხსნათ მედიასაშუალებების ასეთი მიდგომა. საქართველოში ესა თუ ის სახეობა განსაკუთრებით აქტუალური მას შემდეგ ხდება, რაც ქართველი წარმატებას მიაღწევს, მაგალითად, სუმოს შესახებ ცოტამ თუ იცოდა და გაშუქებითაც არ შუქდებიდა, თუმცა მას შემდეგ რაც ტოჩინოშინი გამოჩნდა, სუმოს შესახებ სისტემატურად იწერებოდა, აღნიშნული არგუმენტი მოვიყვანე იმის დასტურად, რომ სპორტის გაშუქება სრულად

[28] *"ევროპის ჩემპიონატზე ძალოსანთა ნაკრების შემადგენლობა ცნობილია"*, crystalsport.ge, 10/04/2023, <https://www.crystalsport.ge/news/53074>, [30/05/2023]

დამოკიდებულია შედეგზე. ლანჩხუთის "გურია" როცა ჩემპიონთა ლიგაზე გავიდა, აქტუალური გახდა ქალთა ფეხბურთი, თუმცა სისტემატურად არ იწერება, მაგალითად, ქალთა ლიგის შესახებ. კიდევ ერთი მაგალითია, როდესაც საქართველოში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატის 17-წლამდე შესარჩევი ეტაპი ქალთა შორის ფრენბურთში, რეალურად ეს ამბავი თითქმის არ გაშუქებულა, ტურნირი სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და მხოლოდ ბოლო დღეს ახსენეს მედიასაშუალებებმა, როდესაც ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე გავიდა. ამ ეტაპზე საქართველოში სპორტული საკითხების გაშუქებისას არ არსებობს იმხელა რესურსი, რომ სისტემატურად გაშუქდეს ყველაფერი და ზოგაგდად თუ გადავხედავთ, სპორტის საკითხებზე რესურსი მცირდება და მხოლოდ განსაკუთრებული ამბები ხდება საერთო გაშუქების საგანი.

ჩვენს საზოგადოებაში დღემდე არის აზრი, რომ გოგონები სპორტში ნაკლებად უნდა მიდიოდნენ, არადა ამ დროს უამრავი მაგალითი გვყავს წარმატებული ქართველი სპორტსმენებისა, რომლებიც სპორტის სხვადასხვა სახეობებში დიდ წარმატებას აღწევენ. შესაბამისად, ქალთა სპორტის წინ წამოსაწევად კიდევ უფრო მეტად უნდა იმუშაონ გუნდების სოციალური ქსელების მენეჯერებმა. აქცენტი უნდა გააკეთონ საინტერესო ფაქტებსა და მოვლენებზე, რომ ონლაინ მედიაში მომუშავეებმა მათი ინფორმაცია გამოიყენონ. კიდევ ერთი პრობლემაა კვალიფიციური კადრების ნაკლებობა და ამას თავის მხრივ განაპირობებს პირდაპირ ფინანსური სიტუაცია, რადგანაც დღეს ქართულ ჟურნალისტიკაში, არამხოლოდ სპორტულში, არ არის საკმარისი რაოდენობის ფინანსები, რაც საჭიროა კვალიფიციური კადრების ამ სფეროში მოსაზიდად და აქ სტაბილურად დასასაქმებლად, რაც მერე პირდაპირ აისახება მუშაობის ხარისხზე.

დღესდღეობით იშვიათად თუ წააწყდებით ისეთ სპორტულ პლატფორმას, რომელიც ორივე სქესის სპორტსმენების წარმატებას თანაბრად აშუქებს. ამ პრობლემის მოსაგვარებლად ერთადერთი აპრობირებული და მისაღები პრაქტიკა იქნებოდა სწორედ იმ წარმატებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, რომლებმაც იმავე ტიპის პრობლემები გაიარეს და დღეს უკვე ფენომენალური შედეგები აქვთ.

1.3 სიღრმისეული ინტერვიუ

კონტენტ-ანალიზთან ერთად, კვლევისთვის გამოვიყენეთ სიღრმისეული ინტერვიუც. ჩვენი კვლევისთვის სიღრმისეული ინტერვიუ დაგვჭირდა იმისთვის, რომ კვლევის მეთოდები დაგვეზუსტებინა და საკვლევად შერჩეული თემა უფრო სიღრმისეულად გაგვენალიზებინა, კვლევისთვის კი გამოვიყენეთ სტრუქტურირებული ინტერვიუ. რესპოდენტებს ინტერვიუს დროს ვკითხე სურდათ თუ არა ანონიმურად დარჩენა, თუმცა ანონიმურობა არ ისურვეს. ინტერვიუსთვის შევარჩიეთ 6 სპორტული ჟურნალისტი, ესენია:

ვაკო ყიფიანი - "europop.ge"-ის სპორტული ჟურნალისტი, კომენტატორი.

ირაკლი ფოფხაძე - "crystalsport.ge"-ის სპორტული ჟურნალისტი, კომენტატორი.

ნიკოლოზ ტაბატაძე - "Setanta sport georgia"-ს სპორტული ჟურნალისტი, კომენტატორი.

ხატია ცარციძე - „Nomad sports"-ის სპორტული ჟურნალისტი.

ელენე ბილიხოძე - პირველი არხის სპორტული ჟურნალისტი.

ქეთი ბოლქვაძე - აჭარის ტელევიზიის სპორტული ჟურნალისტი.

რესპოდენტების პასუხები განსხვავდებოდა ერთმანეთისგან და ყველას საკუთარი აზრი ჰქონდა სპორტულ მედიაში გენდერული ასპექტების გაშუქების შესახებ, შესაბამისად, განვიხილოთ თითოეული საკვლევი კითხვა და რესპოდენტების პასუხები ამ კითხვებზე. პირველ კითხვაზე თუ რამდენად არის დაცული ეთიკის სტანდარტები ონლაინ მედიაში სპორტული საკითხების (გენდერის მიმართულებით) გაშუქების დროს, სპორტული ჟურნალისტი ვაკო ყიფიანი გვპასუხობს, რომ ქალთა სპორტის ნაკლები ყურადღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი ქვეყანაში არსებული მდგომარეობაა, თუმცა ჩვენს ქვეყანას ჰყავს უამრავი ნიჭიერი ქალი სპორტსმენები, რომლებსაც ონლაინ მედიამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს. მაგალითად, ის ფაქტი, რომ მამაკაც სპორტსმენებზე ხშირად ვხვდებით

მომზადებულ ჩანახატს, ინტერვიუს და სხვა მასალებს, ეს ყველაფერი ქალებთან მიმართებაში ნაკლებია, შესაბამისად ჩვენი რესპოდენტი მიიჩნევს, რომ ქალების როლი ონლაინ მედიას თითქოს ნაკლებად აქვს გააზრებული და ბალანსის დაცვაც არ გამოსდის. რაც შეეხება მეორე რესპოდენტს, ირაკლი ფოფხაძე ონლაინ მედიას ორ ნაწილად ყოფს, პირველი ის მედიასაშუალებებია, რომლებმაც მოახერხეს დადებითი იმიჯის შექმნა და მეტ-ნაკლებად მიახლოებულია ჟურნალისტურ სტანდარტებთან, ხოლო მეორე ის მედიასაშუალებებია, რომელთა მუშაობის სტილი აბსოლუტურად არ შეესაბამება ჟურნალისტურ სტანდარტებს. ამგვარად ფიქრობს ნიკოლოზ ტაბატაძეც, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ბევრად უფრო საგანგაშო მდგომარეობა იყო ადრე, ბოლო დროს კი დინამიკა და ტენდეცია შედარებით გამოსწორდა, თუმცა ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, რთულია გენდერის მიმართულებით ეთიკის სტანდარტების დაცვაზე საუბარი, რადგან ამ სფეროს აქვს ეთიკის დარღვევის უამრავი გამოვლინება, რაც წლებია უკვე არ იცვლება. საინტერესოა ამ საკითხზე ქალი სპორტული ჟურნალისტების აზრი, ჩვენი ერთ-ერთი რესპოდენტი ხატია ცარციძე აღნიშნავს, რომ თანამედროვე ეპოქაში მედიის მთავარი ფუნქციაა ინფორმაციის დაბალანსებულად გადაცემა შესაბამისი სტანდარტებით, რაც ქალთა სპორტულ სახეობებში შესუსტებულია. როდესაც ქართველი ქალები წარმატებას აღწევენ ის აუცილებლად შუქდება, მაგალითად, ეთერ ლიპარტელიანი, ირმა ხეცურიანი და ა.შ. ონლაინ მედიაში სპორტული საკითხების გაშუქების შესახებ განსხვავებულ აზრს გვთავაზობს ელენე ბილიხოძე. ის მიიჩნევს, რომ გასათვალისწინებელია თანამედროვე ტენდეციები და მედიის, როგორც ბიზნესის როლი. გამომდინარე იქიდან, რომ ონლაინ მედიის დაფინანსების ძირითადი წყარო ხშირ შემთხვევაში გარდა გარკვრული გრანტებისა, არის კერძო სექტორი, შესაბამისად რეკლამის მოსაზიდად საჭიროა რეტინგი და აღნიშნული რეიტინგის ძიებაში ვიღებთ იმ "სტანდარტს", რასაც ვიღებთ. ქეთი ბოლქვაძე მიიჩნევს, რომ სპორტულ ონლაინმედიებში ბოლო პერიოდში ცვლილებები შეინიშნება, თუმცა ჯერ კიდევ ბევრია ამ მხრივ სამუშაო. უნდა მორჩეს ისეთი აზროვნება და მიდგომა, რომ ქალებს სპორტში წარმატების მიღწევა არ შეუძლიათ, მითუმეტეს, რომ თვალწინ გვყავს უამრავი წარმატებული ქალი სპორტსმენი.

რაც შეეხება მეორე კითხვას თუ რა მთავარ პრობლემებს ვაწყდებით ამ მხრივ და რა განაპირობებს ამ პრობლემების არსებობას, აქ უამრავი განსხვავებული აზრი დაფიქსირდა. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ვაკო ყიფიანმა დაასახელა, ქალთა სპორტი არ არის საინტერესო და ამიტომ არ ვაშუქებთ. ჩვენი რესპოდენტი, რა თქმა უნდა, ამ აზრს არ ეთანხმება და აღნიშნავს, რომ ეს აზრი ფართოდ არის გავრცელებული საზოგადოებაში, თუმცა მთავარი პრობლემა მედიის მუშაობაა, თუ გააჩენ ინტერესს, უფრო მეტი მნახველიც ეყოლება. ირაკლი ფოფხაძე კი მთავარ პრობლემად იმ ონლაინმედიებს ასახელებს, რომლებიც ერთი მიმართულებით მუშაობენ და მათი მიზანი ნაკლებად ჟურნალისტური მეთოდებით რეიტინგის დაწერაა, ნიკოლოზ ტაბატაძისთვის კი მთავარი პრობლემა სტერეოტიპული აზროვნებაა. სხვა სპორტული ჟურნალისტების აზრს იზიარებს ხატია ცარციძეც და მიიჩნევს, რომ სტატისტიკური ანალიზი ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი მიზეზია, რადგან რეიტინგზე მიჯაჭვულობის პრინციპი სხვა შედეგს გვაძლევს. ელენე ბილიხოძის აზრით, კვალიფიციური კადრების ნაკლებობაც დიდ პრობლემას წარმოადგენს, რიგ შემთხვევებში სპორტულ ამბებზე შეიძლება მუშაობდნენ ადამიანები, რომლებსაც არ აქვთ არც შესაბამისი გამოცდილება და არც მედიაგანათლება, ამიტომ სტანდარტზე და ხარისხიან პროდუქტზე საუბარი ცოტა რთულია. რაც შეეხება ჩვენს ბოლო რესპოდენტს, ქეთი ბოლქვაძე მიიჩნევს, რომ კვალიფიციური კადრების ნაკლებობა ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, რადგან ამას თავის მხრივ განაპირობებს პირდაპირ ფინანსური სიტუაცია. დღეს ქართულ სპორტულ ჟურნალისტიკაში და არამხოლოდ სპორტულში არ არის საკმარისი რაოდენობის ფინანსები რაც საჭიროა კვალიფიციური კადრების ამ სფეროში მოსაზიდად და აქ სტაბილურად დასასაქმებლად, რაც მერე პირდაპირ აისახება მუშაობის ხარისხზე.

რაც შეეხება, მესამე კითხვას, გამოსავლის რა გზებს არსებობს სპორტულ ონლაინმედიებში გენდერული დისბალანსის შესამცირებლად რესპოდენტები გამოსავლის სხვადასხვა გზებს გვთავაზობენ, მაგალითად ვაკო ყიფიანი მიიჩნევს, რომ ქალთა სპორტის წინ წამოსაწევად კიდევ უფრო მეტად უნდა იმუშაონ გუნდების სოციალური ქსელების მენეჯერებმა, აქცენტი უნდა გააკეთონ საინტერესო ფაქტებსა და მოვლენებზე. ირაკლი ფოფხაძის აზრით

კი პირველ რიგში, ფინანსების მოძიებაა საჭირო, რაც გამოიწვევს ამ ეტაპზე ბაზარზე არსებული კადრების ამ სფეროთი დაინტერესებას. განსხვავებულ აზრს გვთავაზობს ნიკოლოზ ტაბატაძე და მიიჩნევს, რომ გამოსავლის მოსაძებნად გვაქვს ერთადერთი უალტერნატივო საშუალება, რომ ჩვენც გამოვიყენოთ სრულიად დასავლური გამოცდილება, ერთადერთი აპრობირებული და მისაღები პრაქტიკა იქნებოდა სწორედ იმ წარმატებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და გადმოკოპირება, რომლებმაც იგივე ტიპის პრობლემები გაიარეს და დღეს უკვე ფენომენალური შედეგები აქვთ. საინტერესოა რას ფიქრობენ ამ საკითხზე ქალი სპორტული ჟურნალისტები, ხატია ცარციძის აზრით, იმისთვის რომ მივიღოთ მაღალი ხარისხის და მაღალი სტანდარტის მედია პროდუქტი, აუცილებელია უპირველეს ყოვლისა პროფესიონალი კადრების ჩართულობა, შესაბამისი განათლებითა და გამოცდილებით. ელენე ბილიხოძის აზრით, ფინანსური მდგრადობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან სპორტული საკითხების გასაშუქებისთვის აუცილებელია კვალიფიკაციის ამაღლება, ამ მიმართულებით მხოლიდ სპორტის ან მხოლიდ მედიის ცოდნა არ კმარა, ეს კომბინირებულად უნდა იყოს, ამიტომ საჭიროა სპეციალური ტრენინგების ჩატარება. სხვა სპორტული ჟურნალისტების აზრს იზიარებს ქეთი ბოლქვაძეც და მიიჩნევს, რომ ახალი თაობის ადამიანების ჟურნალისტიკით დაინტერესებას და ცოდნის გაღრმავებაა საჭირო, რასაც ისევ და ისევ ჭირდება ფინანსების გარკვეული ნაწილის მიმართვა სხვადასხვა საგანმანათლებლო სისტემებისკენ.

ჩვენს რესპოდენტებს ვთხოვეთ, რომ დაესახელებინათ განსაკუთრებით რომელ ონლაინ მედიას გამოარჩევდნენ ამ მხრივ დაშვებული შეცდომების ან პირიქით ყველაზე ეთიკურად გაშუქების თვალსაზრისით. ვაკო ყიფიანი აღნიშნავს, რომ ყველა ონლაინმედიას აქვს პრობლემა, თუმცა ამ მხრივ ერთი სპორტული ჟურნალისტი გამოარჩია, ნიკოლოზ მათიაშვილი. ირაკლი ფოფხაძემ რამდენიმე ვებ-გვერდი გამოარჩია, ესენია რადიო თავისუფლება, როგორც ვებსაიტი crystalsport.ge და europop.ge. რადიო თავისუფლება დაასახელა ნიკოლოზ ტაბატაძემაც და ასევე აღნიშნა, რომ „სეტანტა სპორტსი“ ნამდვილად არის ის მედია სააგენტო, რომელიც ყოველგვარი დარღვევების გარეშე აშუქებს ქალი სპორტსმენების მოღვაწეობას შიდა თუ საერთაშორისო სარბიელზე. “Europop.ge”

დაასახელეს ხატია ცარციძემ და ელენე ბილიხოძემ, თუმცა ისიც აღნიშნეს, რომ ჯერ კიდევ ბევრია ამ საიტებზეც სამუშაო, რათა თანაბრად გაშუქდეს ინფორმაცია. ქეთი ბოლქვაძემ, კი აღნიშნა, რომ არაპროფილურად სპორტული გამოცემები, მაგალითად რადიო თავისუფლება და ნეტგაზეთი უფრო თანამედროვე ეთიკური წესების დაცვით აშუქებენ სპორტულ სიახლეებს, ვიდრე სხვა სპორტული საიტები.

ბოლო საკვლევ კითხვაზე თუ რატომ შუქდება უფრო მეტად სპორტის ის სახეობები, რომლებშიც მამაკაცები მონაწილეობენ, სპორტის იმ სახეობებისგან განსხვავებით, რომლის მონაწილეებიც ქალები არიან და რა არის ამის მთავარი მიზეზი, თითქმის ერთნაირი აზრი დააფიქსირეს რესპოდენტებმა. ვაკო ყიფიანი მიიჩნევს, რომ თვითონ გუნდებიც და ფედერაციებიც ვერ ფუთავენ ქალთა სპორტულ ღონისძიებებს კარგად. ირაკლი ფოფხაძის აზრით კი წამყვანი სპორტის სახეობები, რომელსაც ყველაზე მეტი მიმდევარი ჰყავთ უფრო მეტად მამაკაცები არიან მთავარი ფიგურები და უფრო მეტად მამაკაცები იზიდავენ ყურადღებას. ნიკოლოზ ტაბატაძე აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ მსოფლიოს მასშტაბით უფრო პოპულარულ მიმართულებად თუ სახეობად რჩება კაცთა ასპარეზობები. ასევე თითქმის იმავე აზრს იზიარებს ხატია ცარციძე და აღნიშნავს, რომ საქართველოში ესა თუ ის სახეობა განსაკუთრებით აქტუალური მას შემდეგ ხდება, რაც ქართველი წარმატებას მიაღწევს. ელენე ბილიხოძე და ქეთი ბოლქვაძეც მთავარ პრობლემად რესურსების სიმცირეს ასახელებს.

დასკვნა

კვლევის შედეგების საფუძველზე პასუხი გავეცით ყველა იმ კითხვას, რომელიც კვლევის დასაწყისში დავსვით.

კითხვაზე: „რამდენად სისტემურად შუქდება ქალთა გუნდური თუ ინდივიდუალური სპორტული სახეობები მედიაში?“ კვლევამ აჩვენა, რომ ერთ-ერთ წამყვან სპორტულ ონლაინმედიებშიც კი ქალთა სპორტი სათანადოდ არ შუქდება. ის რიცხვები, რომლებიც სტატიებს რაოდენობამ მოგვცა, აშკარად ადასტურებს იმას, რომ ქალთა გუნდური თუ

ინდივიდუალური სპორტული სახეობების მიმართ ინტერესი ძალიან დაბალია და მედიის ყურადღების მიღმა რჩება ქალთა სპორტი.

რაც შეეხება მეორე კითხვას: „ქართულ ონლაინმედიებში ქალთა მონაწილეობით უფრო ხშირად გვხვდება სპორტული ამბები თუ კაცთა მონაწილეობით?“ რაოდენობრივმა კონტენ-ანალიზმა საკმაოდ თვალსაჩინო პასუხი გაგვცა. ონლაინ მედიების უმეტესობა ვერ იაზრებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ყურადღების დათმობა ქალთა სპორტისთვის.

მესამე საკვლევ კითხვაზე: „რომელ სპორტულ სახეობებში უფრო ხშირად მონაწილეობენ ქალები?“ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფეხბურთი ქალთა სპორტშიც რჩება ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ სპორტად, ასევე კვლევით დავადგინეთ, რომ ქალები სხვა სპორტულ სახეობებთან შედარებით უფრო ხშირად ზამთრის სახეობებში და ჩოგბურთში მონაწილეობენ.

რაც შეეხება კითხვას“ „ვხვდებით თუ არა გენდერულ სტერეოტიპებს სპორტული ამბების გაშუქების დროს?“ უნდა ითქვას, რომ საბედნიეროდ, სტერეოტიპულად და არაეთიკურად სტატიები არც ერთ საკვლევად შერჩეულ ონლაინმედიაში არ იწერება, პირიქით გამოქვეყნებული სტატიები მაქსიმალურად კორექტულად არის დაწერილი.

კითხვაზე: „რა განაპირობებს გენდერულ დისბალანსს ქართული სპორტული ღონისძიებების გაშუქების პროცესში?“ ჩვენმა რესპოდენტებმა ძალიან საინტერესო და განსხვავებული პასუხები გაგვცეს. უნდა აღინიშნოს, რომ გენდერული დისბალანსის ერთი კონკრეტული მიზეზი არ არსებობს, როგორც რესპოდენტებმა აღნიშნეს, ნაკლები დაინტერესება, ფინანსები, რესურსების სიმცირე, საზოგადოებაში უფრო პოპულარული სპორტული სახეობები და სხვა თითქოს და პატარ-პატარა მიზეზები, საბოლოოდ ერთ დიდ პრობლემას ქმნის.

კვლევის შედეგად დადასტურდა ჰიპოთეზა, რომ საკვლევად შერჩეულ ქართულ, სპორტულ ონლაინმედიებში ვხვდებით გენდერულ დისბალანს.

შერჩეულმა მედიასაშუალებების ანალიზმა და სპორტული ჟურნალისტების გამოკითხვამ აჩვენა, საჭიროა მაღალი ხარისხისა და სტანდარტის მედიაპროდუქტი, რათა დაცული იყოს გენდერული ბალანსი სპორტული ამბების გაშუქების დროს.

გამოყენებული ლიტერატურა

გაჩეჩილაძე, თ. 2014 წელი, ლელო 80, თბილისი, გვ.30, გვ.52, გვ.57, გვ.58 (ბოლო ნახვა 12/04/2023)

Azzi A., In the only Olympic sport not open to women, Tara Geraghty-Moats perseveres, 2021 წელი

https://onherturf.nbcsports.com/2021/02/26/tara-geraghty-moats-nordic-combined-olympics/ (ბოლო ნახვა 12/04/2023)

Journalism, Gender and the Media: What misogyny looks like in the 21st Century", Media and Journalism: New Approaches to Theory and Practice, South Melbourne: Oxford University Press (ბოლო ნახვა 14/04/2023)

გენდერული თანასწორობისა და მრავალფეროვნებისთვის, 2022 წელი

https://www.undp.org/ka/georgia/press-releases/%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1 (ბოლო ნახვა 27/04/2023)

ქართველოს რაგბის კავშირი, „ბორჯღალოსნები ქალთა უფლებებისთვის“, rugby.ge, 2021 წელი

https://rugby.ge/%e1%83%91%e1%83%9d%e1%83%a0%e1%83%af%e1%83%a6%e1%83%90%e1%83%9a%e1%83%9d%e1%83%a1%e1%83%9c%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98-%e1%83%a5%e1%83%90%e1%83%9a%e1%83%97%e1%83%90-%e1%83%a3%e1%83%a4%e1%83%9a%e1%83%94/ (ბოლო ნახვა 28/04/2023)

„როგორ გავზარდოთ საქართველოს მოსახლეობის ფიზიკური და სპორტული აქტიურობის დონე?“, 2020 წელი

როგორ გავზარდოთ საქართველოს მოსახლეობის ფიზიკური და სპორტული აქტიურობის დონე? | United Nations Development Programme (undp.org) (ბოლო ნახვა 07/05/2023“)

„საქართველო - გენდერული თანასწორობა სპორტში“. mes.gov.ge, 2019 წელი, გვ.2, გვ.6, https://mes.gov.ge/uploads/gallery/All-In-Georgia-GM.pdf, (ბოლო ნახვა 08/05/2023)

“თეონა სტურუა ფიფას საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი გახდა“, europop.ge, 03/02/2023,
თეონა სტურუა ფიფას საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი გახდა - europop (ბოლო ნახვა 17/05/2023“)

„საქართველოს ქალთა ნაკრებს ისრაელი მწვრთნელი უხელმძღვანელებს“, europop.ge, 10/04/2023,
https://europop.ge/article/52284-sakartvelos-kalta-nakrebs-israeleli-mcvrtneli-ukhelmdzghvanelebs (ბოლო ნახვა 17/05/2023)

„ოთხმეზურმა ყველა სამქულიანი ჩაგდო - სეზონის რეკორდი კოლეჯების ლიგაში“, europop.ge, 14/12/2022,

https://europop.ge/article/49426-otkhmezurma-qvela-samkuliani-chaagdo-sezonis-rekordi-kolejebis-ligashi, (ბოლო ნახვა 17/05/2023)

„მოგება ორ სეტში - ბასილაშვილი დოჰას ტურნირის კვალიფიკაციის ფინალშია“, europop.ge, 18/02/2023,
https://europop.ge/article/51012-mogeba-or-setshi-basilashvili-dohas-turniris-kvalipikatsiis-pinalshia (ბოლო ნახვა 19/05/2023)

„AUS OPEN - პირველი ფინალი და პირველი ტიტული, არინა საბალენკა ჩემპიონია“, europop,ge, 28/01/2023,
https://europop.ge/article/50457-aus-open-pirveli-pinali-da-pirveli-tituli-arina-sabalenka-chempionia (ბოლო ნახვა 19/05/2023)

„წლის პირველი ტიტული - გორგოძემ პორტუს ტურნირი მოიგო“, europop.ge, 11/02/2023,

https://europop.ge/article/50830-clis-pirveli-tituli-gorgodzem-portus-turniri-moigo (ბოლო ნახვა 19/05/2023)

„მემარცხენე არავის არ უყვარს - მარიამ ბოლქვაძე ევროპოპის არხზე“, europop.ge, 23/04/2023,

https://europop.ge/article/52607-memartskhene-aravis-ar-uqvars-mariam-bolkvadze-evropopis-arkhze (ბოლო ნახვა 19/05/2023)

„2023 წლის უიმბლდონზე რუსი და ბელარუსი ჩოგბურთელები დაუშვეს“, europop.ge, 31/03/2023,

<https://europop.ge/article/52031-2023-clis-uimbldonze-rusi-da-belarusi-chogburtelebi-daushves> ,(ბოლო ნახვა 19/05/2023)

„ძაგნიძე გრან პრის ლიდერებშია - 5 ტური მარცხის გარეშე“, „europop.ge, 07/02/2023, https://europop.ge/article/50699-chadraki-dzagnidze-gran-pris-liderebshia-5-turi-martskhis-gareshe (ბოლო ნახვა 19/05/2023)

„პარაფარიკაობა - ხეცურიანის ოქრო და ვერცხლი ვაშინგტონის მსოფლიო თასზე“, europop.ge, 16/01/2023,

https://europop.ge/article/50132-paraparikaoba-khetsurianis-okro-da-vertskhli-vashingtonis-msoplio-tasze (ბოლო ნახვა 22/05/2023)

„17 წლამდე გოგონათა ნაკრები უეფას განვითარების თასზე იასპარეზებს“, sportall.ge, 28/04/2023,
https://sportall.ge/fekhburthi/fekhburthii/skhvadaskhva/163816-17-tslamde-gogonatha-nakrebi-uefas-ganvitharebis-thasze-iasparezebs.html (ბოლო ნახვა 23/05/2023)

„ნატალია ოთხმეზური ქალთა NCAA-ის Metro Atlantic Athletic კონფერენციის ჩემპიონია“, sportall.ge 12/03/2023 https://sportall.ge/kalathburthi/legionerebi/162671-natalia-othkhmezuri-qaltha-ncaa-is-metro-atlantic-athletic-konferenciis-chempionia.html (ბოლო ნახვა 23/05/2023)

„7-ქალა ელიტაში! - ჯერჯერობით მხოლოდ მსაჯით“, sportall.ge, 24/05/2023, https://sportall.ge/ragbi/skhvadaskhva/164392-7-qala--elitashi-jerjerobith-mkholod-msajith.html (ბოლო ნახვა 24/05/2023)

„17 წლამდე გოგონათა ნაკრები უეფას განვითარების თასზე იასპარეზებს“, sportall.ge, 28/04/2023 https://sportall.ge/fekhburthi/fekhburthii/skhvadaskhva/163816-17-tslamde-gogonatha-nakrebi-uefas-ganvitharebis-thasze-iasparezebs.html (ბოლო ნახვა 23/05/2023)

„ნატალია ოთხმეზური ქალთა NCAA-ის Metro Atlantic Athletic კონფერენციის ჩემპიონია“, sportall.ge 12/03/2023, https://sportall.ge/kalathburthi/legionerebi/162671-natalia-othkhmezuri-qaltha-ncaa-is-metro-atlantic-athletic-konferenciis-chempionia.html (ბოლო ნახვა 23/05/2023“)

„7-ქალა ელიტაში! - ჯერჯერობით მხოლოდ მსაჯით“, sportall.ge, 24/05/2023, https://sportall.ge/ragbi/skhvadaskhva/164392-7-qala--elitashi-jerjerobith-mkholod-msajith.html (ბოლო ნახვა 24/05/2023)

„ელენე ქებაძემ რუსეთის წარმომადგენელი დაამარცხა და მსოფლიო ჩემპიონი გახდა“, sportall.ge, 14/11/2022 https://sportall.ge/tcidaoba/sambo/159995-elene-qebadzem-rusethis-tsarmomadgeneli-daamarckha-da-msoflio-chempioni-gakhda.html (ბოლო ნახვა 24/05/2023)

"ტაშკენტის გრან-სლემი: ლიპარტელიანმა ვერცხლის მედალი მოიპოვა - ჩხვიმიანი მედლის გარეშე დარჩა", sportall.ge, 03/03/2023, https://sportall.ge/tcidaoba/dziudo/162480-tashkentis-gran-slemi-lipartelianma-verckhlis-medali-moipova-chkhvimiani-medlis-gareshe-darcha.html (ბოლო ნახვა 24/05/2023)

„ფრენბურთელი ანა კალანდაძე „ჩემპიონთა ლიგის" ჯგუფური ეტაპის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა", sportall.ge, 22/02/2023, https://sportall.ge/skhva-sakheobebi/frenburthi/162267-frenburtheli-ana-kalandadze-chempiontha-ligis-jgufuri-etapis-sauketheso-mothamashed-dasakhelda.html (ბოლო ნახვა 26/05/2023)

„ნანა ძაგნიძე მსოფლიო საჭადრაკო რეიტინგ-სიის ათეულშია", sportall.ge, 02/03/2023 https://sportall.ge/skhva-sakheobebi/tcadraki/162459-nana-dzagnidze-msoflio-satcadrako-reiting-siis-atheulshia.html (ბოლო ნახვა 26/05/2023)

„კანკიას ეფექტური გოლი - საქართველოს ნაკრების U17 მორიგი გამარჯვება", crystalsport.ge, 25/02/2023, https://www.crystalsport.ge/news/51785> (ბოლო ნახვა 29/05/2023)

"ნატალია ოთხმეზურის ბრწყინვალე მატჩი - 25 ქულა 23 წუთში და 6 სამქულიანი", crystalsport.ge, 22/02/2023, https://www.crystalsport.ge/news/40916 (ბოლო ნახვა 29/05/2023)

"საქართველოს ნაკრებმა ბილი ჯინ კინგის თასი გამარჯვებით დაიწყო", crystalsport.ge, 11/04/2023, https://www.crystalsport.ge/news/53079 (ბოლო ნახვა 29/05/2023)

„კალაშნიკოვა AUS OPEN-ის მერვედფინალშია", crystalsport.ge, 21/01/2023, https://www.crystalsport.ge/news/50754 (ბოლო ნახვა 29/05/2023)

“დოჰას ტურნირი: ბასილაშვილმა საკვალიფიკაციო ეტაპზე გამარჯვება მოიპოვა“, crystalsport.ge, 18/02/2023, https://www.crystalsport.ge/news/51575 (ბოლო ნახვა 29/05/2023)

“ევროპის ჩემპიონატზე ძალოსანთა ნაკრების შემადგენლობა ცნობილია“, crystalsport.ge, 10/04/2023, https://www.crystalsport.ge/news/53074 (ბოლო ნახვა 30/05/2023)